გაზეთი ზოგისა, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№100 (856) 30 სექტემბერი – 1 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**



## გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლაში მეტ პლუსს ვხედავ, ვიდრე — მინუსს!“

პრემიერის მრჩეველს პარლამენტთან კითხვები აქვს

გვ.5

## „დვანში იმიტომ არ ჩავედი, რომ პოპულისტი და ფარისეველი მინისტრი არ ვარ!“

პრეზიდენტის რა განცხადება დააქვს გულისხიბით და რა არგუმენტებით ხსნის რუსი ოკუპანტების მიერ სადემარკაციო სამუშაოების განახლებას **პაატა ზაქარეიშვილი**

გვ.4

სკანდალური ინტერვიუ **ირაკლი იაშვილთან** — რა პრეტენზია აქვს ნოდარ ხადურთან და რა კორუფციული სქემა შეუქმნა შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა გოგა ცხაკაიამ „რაკიინ დეველოპმენტს“

**„ფინანსთა სამინისტროს წინ თავს ხომ არ დავიწვავ?.. ამ ქვეყანაში თითქოს ყველას ვიცნობ, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის!“**

გვ.6

## აუცილებელია იცოდეთ, რას მიირთმევთ — მარნეულის სასურსათო ქარხნის მიერ წარმოებული ტომატ-პასტა 100%-ით ნატურალურია!

გვ.9

პომიდვრის სასარგებლო თვისებები მეცნიერების კვლევის საგანია

## „წუხელ, შვილიშვილმა ძილის წინ მკითხა, ბებო, ამაღამ რუსები ხომ არ გვესვრიანო?!“



ქართველი ჟურნალისტები რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ – სპეციალური რეპორტაჟი დვანიდან

გვ.2

# „ნუხელ, შვილიშვილმა ძილის წინ მკითხა, ბებო, ამაღამ რუსები ხომ არ გვესვრიანო?!“



## ქართველი ჟურნალისტები რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ _ სპეციალური რეპორტაჟი დვანიდან

რუსუდან შელია
557-100-768

**ორი დღის წინ, რუსეთის მცოცავი ოკუპაციის გასაპროტესებლად ჟურნალისტები რესპუბლიკის მოედანზე, დილის 11 საათისთვის შევიკრიბეთ, პირველის ნახევარზე ტრანსფარანტები — „ჟურნალისტები რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ!“, „არა — მცოცავ ოკუპაციას!“, „შორს ხელები და მავთულხლართები საქართველოსგან!“, „რუსეთი ოკუპანტია!“, „ერთი მეტრი მიწა დვანში = საქართველოს!“ — ავტობუსის ფანჯრებზე მივამაგრეთ და გეზი სოფელ დვანისკენ ავიღეთ.**

გორს გავცდით, აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გვაცნობა, ქართველ ჟურნალისტებს გრიგორი კარასინი გვეხმაურება და ამბობს, საქართველო უპასუხისმგებლოდ აგრძელებს სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო რაიონებში დაძაბულობის გაღვივებას და ევროკავშირის წარმომადგენლებს მოუწოდებს, ძალისხმევა არ დაიშურონ ქართული ხელისუფლების ამ ახალი სახიფათო ჩანაფიქრის აღსაკვეთადო. კარასინის განცხადებამ ჟურნალისტები გაამხიარულა — თურმე, ხელისუფლებისგან მართულები ვყოფილვართ, არადა, კარასინს, ნეტავ, ესმოდეს, რომ საკუთარი სამშობლოს სადარაჯოზე დგომას ხელისუფლების კარნახი სულაც არ სჭირდება!

დვანში, დაახლოებით, ორ საათში ჩავედით, თუმცა მავთულხლართებამდე აღმართი უნდა აგვევლო, სადაც ტრანსპორტმა ასვლა ვერ მოახერხა და ჟურნალისტები გზას ფეხით, ქართული პატრიოტული სიმღერების შესრულებით ავუყევით... რუსი მესაზღვრეების მიერ გავლებულ „საზღვართან“ კი ქართველი სამართალდამცავები დაგვხვდნენ, რომლებიც ადგილზე პატრულირებდნენ და ჟურნალისტების უსაფრთხოების დასაცავად სადემარკაციო ხაზთან მიახლოებას გვიკრძალავდნენ. ახლადგავლებული სადემარკაციო ხაზის მიღმა ოსური მხარეც მობილიზებული იყო — რამდენიმე ადამიანი ჟურნალისტების პროტესტს ვიდეოკამერით იღებდა. საკმაოდ ახლოს იყო რუსული ბაზაც, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ აშენდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ორი ავტომობილიც შორიახლოს იდგა...

ამასობაში, ჟურნალისტებმა ცოცხალი ჯაჭვი შევკარით, ტრანსფარანტები მოვიმარჯვეთ და საქართველოს ჰიმნი ყველამ ერთად შევასრულეთ. საკმაოდ ემოციური წუთები იყო, რომლის გადმოცემაც სიტყვებით რთულია... ეს იყო წუთები, როცა გეამაყება, რომ ქართველი ხარ, შენი სამშობლოს სადარაჯოზე დგახარ და დედამიწის ზურგზე არავისი და არაფრის გეშინია!

იქვე, 15-20 მეტრში, ქართველი გლეხები მინიტრაქტორს აგუგუნებდნენ და ჩალადქცეულ სიმინდს ათვალიერებდნენ. აქციას რამდენიმე ადგილობრივი გლეხი შემოუერთდა და ჟურნალისტებს სოფელში ჩასვლა გვთხოვა.

— დღეს ჩვენი სოფელი შიშის ქვეშ ცხოვრობს, — მიამბობს სოფელ დვანის მცხოვრები ქალბატონი ნუნუ მამაგულაშვილი, — მართალია, ინტენსიურად არა, მაგრამ შებინდებისას სროლის ხმა მაინც ისმის. იქ, სადაც რუსი მესაზღვრეები ღობეს ავლებენ, ჩვენი მიწები დარჩა, რომელსაც მთელი ოჯახი ვუვლიდით და ვამუშავებდით. ახლა რა იქნება, აღარ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვროთ? ყურადღებას არავინ გვაქცევს...

— კი, მაგრამ, დვანში სოფლის მეურნეობის, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრები ხომ გესტუმრნენ? ჯერ სოფელში არაფერი გაკეთებულა?



— ჯერჯერობით, არაფერი... ამბობენ, რომ ოსებმა შეიძლება, ის წყალსადები გადაგვიკეტონ, საიდანაც წყლით ვმარაგდებით. არც შეშა გვაქვს, არც გაზი, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რასაც შენი კუთვნილი მიწის წართმევა ჰქვია.

— ამხელა ომი გადავიტანეთ, თუმცა ახლა ისევ საომარ მდგომარეობაში ვართ, — საუბარში შავოსანი ქალბატონი ზიზი ახალკაცი ერთვება, — არ ვიცი, როდემდე უნდა ვიცხოვროთ ასე დაძაბულებმა. ჩემი თავი არ მენანება, ბავშვებზე ვფიქრობ. წუხელ, შვილიშვილმა ძილის წინ მკითხა, ბებო, ამაღამ რუსები ხომ არ გვესვრიანო? — თვალზე ცრემლი მოადგა და მცირე პაუზის შემდეგ საუბარი გააგრძელა, — ძირძველი დვანელი ვარ.... ქართველი ვარ! გული მტკივა, რომ ამ ტერიტორიას ასე გაძვალტყავებულს ვხედავ. არადა, ამ მიწაზე რამდენი ოფლი დამიღვრია, ჩემი ხელით მომირწყავს, ახლა მედავებიან, შენი არ არისო...

— სოფელში წამობრძანდით, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენთან ხდება, — გვეუბნება ადგილობრივი მცხოვრები ლევან ლაზარაშვილი, — აი, ამ ტერიტორიაზე რუსებს სანგარი ჰქონდათ გათხრილი — 2008 წლის ომის შემდეგ მალევე უნდა გასულიყვნენ, მაგრამ სამი თვე არ წასულან, აქ იმალებოდნენ და სოფელს აკვირდებოდნენ. ახლაც ყოველდღე გორაკებიდან გვათვალიერებენ და გვაკვირდებიან, რას ვაკეთებთ.

— რას გეუბნებიან ოსები, ახერხებთ მათთან საუბარს?

— რა თქმა უნდა, ვერა... ამის საშუალებას მათ რუსები არ აძლევენ. ეს მავთულხლართებიც იმიტომ გაავლეს, რომ ჩვენს შორის ყოველგავრი ურთიერთობა საბოლოოდ დასამარდეს. უცნობი სამხედროები იყვნენ მოსულები და 1922 წელს შედგენილი რუკა გვაჩვენეს, აი, ამას ხომ ხედავთ, სამხრეთ ოსეთის ოლქი მაშინ ასე განისაზღვრა და ეს ტერიტორიები ახლა უნდა დავიბრუნოთო.

— სადემარკაციო ხაზსმიღმა სალოცავები და საფლავებიც დარჩა?

— როგორც ვიცი, სამლოცველო და საფლავები, ჯერჯერობით, ჩვენ გვრჩება, მაგრამ ამათ რას გაუგებ, როდის შეცვლიან გეგმას.

ამასობაში, სოფელშიც შევედით. მოსახლეობა იმ სახლებთან შეკრებილიყო, რომელიც მალე მცოცავი ოკუპაციის შედეგად, სადემარკაციო ხაზსმიღმა აღმოჩნდება... სახლის სახურავი უკვე დაეშალათ, ახლა კედლებს ანგრევდნენ და აგურებს მანქანაში ხმაურით ყრიდნენ. გადათელილი ბოსტანი და დაუკრეფავი ვაშლი არავის ახსოვდა...

— ეს სახლი ომის შემდეგ დამიწვეს, თუმცა მაშინ ჩემი შვილები პატარები იყვნენ და არაფერი ახსოვთ, — გვიამბობს სახლის პატრონი, — არ მინდა, რომ ახლაც ყველაფერი დაავიწყდეთ, ამიტომ ბავშვები სარდაფში ჩავიყვანე და გადარჩენილი ბოთლები დავამსხვრევინე, რომ მეხსიერებაში ჩარჩეთ, როგორ ასახლებენ საკუთარი სახლიდან.

— ახლაც საომარ მდგომარეობაში ვართ, — დაეთანხმა მამაკაცს თინიკო მამაგულაშვილი, — ჩვენს ნაშრომ და აშენებულ სახლს თვითონვე ვანგრევთ, ეს ნორმალურია?! არ ვიცი, რა ვქნათ?! რამდენჯერმე რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე ქეთი ციხელაშვილი იმყოფებოდა, მაგრამ საუბედუროდ, თავად ხელისუფლებას სამოქმედო გეგმა არ აქვს. ვერ გვეუბნება, რა ვქნათ ან თვითონ რას აპირებენ; ამასობაში კი, რუსების მიერ დადგენილი „საზღვარი“ სულ უფრო გვიახლოვდება. ოსურმა მხარემ შემოგვთავაზა, სახლი არ დაანგრიოთ, რუსული პასპორტი აიღეთ და მშვიდად იცხოვრებთო, მაგრამ აბა, როგორ?! ჩემი მიწა-წყალი და დვანი მიყვარს, ამიტომ დავბრუნდი ომის შემდეგ აქ, ახლა კი იძულებულნი ვართ, სახლი საკუთარი ხელით დავანგრიოთ... იმის ნაცვლად, რომ ქართული მხარე გვერდით დაგვიდგეს, პირიქით, დახმარებებსაც გვართმევენ. ჩემი მამამთილი ავად გახდა, დამწვარ სახლში დარჩენილი მეტალი მოვაგროვეთ და ჯართში ჩავაბარეთ, აღებული ფულით კი ოპერაცია გავუკეთეთ. მეორე დღეს სოციალური აგენტი მოვიდა და დახმარება მოგვიხსნა, როგორც ჩანს, შემოსავალი გაქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერაციას როგორ გაუკეთებდით, თან თქვენ უმაღლესი განათლება გქონიათ და ამიტომ სოციალურ დახმარებას ვერ მიიღებთო...

— გვიხარია, რომ აქ ხართ, — საუბარში ჩაერთო ადგილობრივი თამარ კოპაძე, — ჩვენთვის, ყველასგან მიტოვებული და გაჭირვებული ადამიანებისთვის სანუგეშო სიტყვები ყველაზე მნიშვნელოვანია....



სანამ დვანელები ჟურნალისტებს საკუთარ პრობლემებსა და ემოციებს უზიარებდნენ, იქვე, სახლთან, რომელსაც ანგრევდნენ, აბრა შევნიშნე, რომელზეც ოსურად და რუსულად ეწერა — „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა!“ აბრის გასწვრივ ბეტონისა და მავთულხლართების გროვა იყო, რომელიც, როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, რამდენიმე დღეში დაახლოებით 10 მეტრით გადმოიწევს და ქართველების სახლებსაც „შთანთქავს“. პარადოქსია, მაგრამ სოფელში ახლადგაყვანილი გზა სწორედ იქ წყდება, სადაც მალე ახალი სადემარკაციო ხაზი გაივლის. გული დამიმძიმდა, როცა მივხვდი, რომ იმ ადგილზე, რომელსაც ფოტოებს ვუღებდი და ვათვალიერებდი, მალე ქართველები შემოსვლას ვეღარ შეძლებენ.

...რუსი მესაზღვრეები გორაკებიდან ისევ ჭოგრიტით გვათვალიერებდნენ.

რეზო შატაკიშვილი

**თეატრალური ლეგენდის თანახმად, მსახიობებისგან გულმოკლულმა კოტე მარჯანიშვილმა, წასვლისას, დღეს უკვე მისი სახელობის თეატრი დაწყევლა. არ ვიცი, ვინ დაწყევლა საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაგრამ რაღაც რომ სჭირს, ფაქტია. ეს არხი, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს პირუთვნელად აშუქებდეს, რაც თავი მახსოვს, თვითონაა გასაშუქებელი. მოვლენების ეპიცენტრში კი არაა, თავადაა ეპიცენტრი.**

# დანწყევლილი საზმაუწყებელი



ეს ეპოპეა 90-იანი წლებიდან დაიწყო, ტელევიზიის კიბეებიდან, პროტესტის ადრესატი მაშინ ზვიად გამსახურდია იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ხელისუფლება ჩაბარდა წარსულს, მაგრამ ხმაური და მძვინვარება არ მოკლებია იქაურობას. ყველა ხელისუფალი სათავისოდ ცდილობდა ამ არხისთვის აღვირის ამოდებას, ცდილობდა რა, წარმატებით ახერხებდა კიდეც, მაგრამ მოახერხეს რა? თავი მოგვაბეზრეს თავიანთი შიდაპრობლემებით, შიდადაპირისპირებებით. ჩვენი ჯიბეებიდან ფინანსდება არხი, რომელიც ჩვენ არ გვემსახურება, ლამის, მნიშვნელობა აღარ აქვს, ვის ემსახურება – ფაქტია, მოსახლეობა არ იყენებს მათ მომსახურებას და სხვა არხებს უყურებს – ამას მოწმობს რეიტინგები, მარტო ბოლოდროინდელი კი არა, საერთოდ მთელი ამ წლების. ამ არხზე გადაცემების უმეტესობა იმდენად დაბალრეიტინგულია, ვგონებ, ზოგ ტელეწამყვანს საკუთარი ოჯახის წევრებიც აღარ უყურებენ.

ამ არხის ბოლო 20 წლის ისტორიას რომ ჩაუღრმავდე, ტვინი აგეთქვიფება, ბერძნულ მითოლოგიაში უფრო იოლად გაერკვევი, ვიდრე ამ ტელევიზიის ამბებში. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა წმინდა პოლიტიკური და პოლიტიკურად მოტივირებული პროფესიული კონფლიქტები. საბჭოთა პროპაგანდის მანქანამ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ისე დაიწყო ბრძოლა დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ეგიდით, გეგონება, რამდენიმე თვის უკან იგივე ჟურნალისტები, წამყვანები მუხლჩაუხრელად არ აშუქებდნენ ცეკას სხდომებსა თუ ჩაის კრეფას. ტელევიზია ორად გაიხლიჩა – ოპოზიცია „შუშის სასახლეში“ გამაგრდა, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერმა დიქტორებმა ავტობუსიდან გააგრძელეს მაუწყებლობა, მაგრამ სულ მოკლე ხანში, ბურთი და მოედანი პუტჩის იდეოლოგ ჟურნალისტებს დარჩათ. ახალი ხელისუფლების დიქტატი უკვე აღარ გაუპროტესტებიათ – თავადაც ამ ახალ ძალაში მოიაზრებდნენ თავს. პრაქტიკულად, წმინდა სამთავრობო არხად ჩამოყალიბდნენ და ასეც აგრძელებდნენ საქმიანობას წლების მანძილზე. მონასტერი მოგვიანებით აირია, როდესაც აუცილებელი გახდა ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება – სამთავრობო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლობად ქცევა. მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების პატივი წილად გამოცდილ „ტელევიზიონშიკ“ ზაზა შენგელიას ხვდა, თუმცა რამდენად იყო ეს პატივი, ძნელი სათქმელია – ტელევიზიიდან კადრები უნდა გაეშვა, აქედან დაიწყო აყალმაყალი, სკანდალები, მძაფრი დაპირისპირებები, წასვლა არავის უნდოდა, არადა, ვიღაც აუცილებლად უნდა წასულიყო. ბევრი, მართლაც, ისეთი წავიდა, ვინც არ უნდა წასულიყო – იმიტომ, რომ ვინც წასვლას იმსახურებდა, პატრონები გამოუჩნდა „ზემოთ“. ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა. გარკვეული პერიოდის შემდეგ დღის წესრიგში ამორტიზირებული შენობის გაყიდვისა და ამ ფულით სხვა ადგილზე ახალი შენობის აგების საკითხი დადგა, ახლა ამაზე ატყდა სკანდალი. ამორტიზირებული შენობა, ლამის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად, სიმბოლოდ გამოაცხადეს, ალაპარაკდნენ მის დიად წარსულზე, არადა, მართლაც გაუგებარი იყო, რომელ წარსულზე ლაპარაკობდნენ – საბჭოთა პროპაგანდის წარსულზე, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ძმათამკვლელ ომში და დვრიტად დაედო სამოქალაქო დაპირისპირებას? ან არქიტექტურულად რა ფასეულობას წარმოადგენდა ეს „აკვარიუმი“?

მოკლედ, ეს პროექტი ჩავარდა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საბჭოთა ისტორიის კედლებში დაიდო ბინა. ამავე კედლებში, უკვე ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ სავლეს პავლედ ქცევაც გაიხსენა, ცხადია, კონკრეტული ჟურნალისტის კონტექსტში, მაგრამ თვითონ საბჭოთა ისტორიით დამძიმებული ტელევიზია – სავლე რომ პავლედ – საზოგადოებრივ მაუწყებლად ვერ იქცა, უკვე ფაქტია. ან რატომ გვქონდა იმედი, რომ უწყებრივი კუდი გასწორდებოდა და მთავრობების მსახურებისგან დახლართული კირჩხიბი დაიწყებდა მართლად სვლას? სამთავრობო არხმა ინერციით გააგრძელა სამთავრობო არხად ფუნქციონირება, მცირედი ცვლილებებით – თუ ადრე პირდაპირ, ლეგალურად კონტროლდებოდა, ახლა კონტროლმა ირიბი სახე მიიღო, შეიფუთა, შეინიღბა და რაც მთავარია, ჩვენი ჯიბიდან დასაფინანსებელი იყო კვლავაც. სკანდალებით კი კვლავაც გვამარაგებდა, კვლავაც პოლიტიკურ ძალთა შერკინების ასპარეზი იყო. პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად შეღერებულმა ოპოზიციამ მანამ არ დაიცხრო ვნებები, სანამ თამარ კინწურაშვილი არ წავიდა თანამდებობიდან.

არც კინწურაშვილის წასვლით დამთავრებულა მიეთ-მოეთი. ხან ბორდ-ში იყო აყალმაყალი, ხან შენობაში, ხან შენობის წინ. მილიონები მიდიოდა და მიდიოდა.

> **ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ რამდენიმე გადაცემა, მართლაც, აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ისევ და ისევ, პიროვნული პროფესიონალიზმის ხარჯზე, იქნებოდა ეს გოგი გვახარიას, ეკა კვესიტაძისა თუ დათო პაიჭაძის გადაცემები და იგივე დაბალანსებული საინფორმაციო გამოშვებები. თუმცა, ამ გადაცემების პარალელურად, არხზე იყო გადაცემები, არანაირ მოთხოვნებს რომ არ აკმაყოფილებდა – არც პროფესიულს, არც კომერციულს, არც ხალხს აინტერესებდა, არც არავის. აინტერესებდათ მხოლოდ მათ, ვინც იმ იდიოტობების კეთებაში კაი მსუქან ხელფასს იღებდა და დანებივრობდა. რა იყო ეს? ნაციონალებს ემსახურებოდნენ? არანაირად, თუ მათ არავინ უყურებდა? ეს უფრო იმ ვაიპროფესიონალების სათბურს ჰგავდა, რომლებიც სხვა, პოლიტიკის წარმმართველ არხებზე ვერ ივარგებდნენ, მაგრამ მაინც უნდა შეენახათ. ინახავდნენ კიდეც.**

შეიცვალა ხელისუფლება და ახლა ახალმა მოიწადინა სხვების შენახვა. არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო რყევამ ტელეპოლიგონზე გადაინაცვლა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ საზმაუწყებელი შტურმის ობიექტი გახდებოდა, რომ დღეს და ხვალ ბიძინა ივანიშვილს აღარ დასჭირდებოდა ის „მეცხრე არხი“, რომელიც არჩევნებამდე სჭირდებოდა. გამოთქვა კიდეც მოსაზრება, რომ საზმაუწყებელი და „მეცხრე არხი“ დაექორწინებინათ. „მეცხრე არხს“ მზითვად აპარატურასაც ატანდა, მაგრამ საზოგადოება კარგად მიხვდა, რაც მოხდებოდა – დახურული „მეცხრე არხის“ კადრები მაყარში გამოყვებოდნენ ამ მზითვს და, პრაქტიკულად, საზოგადოებას მოუწევდა ივანიშვილის არხის შენახვა. ეს გეგმა ჩავარდა. იერიშებმა უკვე პერსონიფიცირებული სახე მიიღო. გია ჭანტურია გადადგა. შემდეგ არხი დაატოვებინეს საინფორმაციო სამსახურის უფროსს ხათუნა ბერძენიშვილს, რომელიც თეა წულუკიანის უდიპლომობის სკანდალს შეეწირა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენიშვილის აქტივში დაბალანსებული გადაცემები იყო, რაც ევროპულ დასკვნებშიც აისახა, სწორედ მისი ხელმძღვანელობისას მოხდა გაუგონარი რამ – საჯარო ბიბლიოთეკაში მიმდინარე ამბების „ლაივში“ გაშვება მხოლოდ საზმაუწყებელმა მოახერხა. მოკლედ, ბერძენიშვილი გაუშვეს. ამ ფაქტმა ცხადყო, რომ დაბალანსებული გადაცემები არავის აწყობდა! შეიძლება, ვინმე არ დამეთანხმოს ამაში, მაგრამ თუ აწყობდათ, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ამ დაბალანსებულ გადაცემებს ნაციონალების მეგობარი ბერძენიშვილი გააკეთებდა თუ „ოცნების“ ფავორიტი რომელიმე „ტელევიზიონშიკი“? ჯერი ტელეწამყვანებზე მიდგა და ახლა ეკა კვესიტაძე და დათო პაიჭაძე გაუშვეს – გადაცემები დაუხურეს. მანამდე შეიცვალა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი, სკანდალი მოჰყვა საინფორმაციო სამსახურის უფროსის, სოფო მოსიძის Facebook-ის სტატუსს.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



## კახა კალაძე: „ზოგიერთ არასამთავრობოს ახირებას ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავაყოლებთ!“

**„ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ახირებას ჩვენი ქვეყნის ბედს, საქართველოს ენერგოგანვითარებასა და ენერგოდამოუკიდებლობას ნამდვილად ვერ გადავაყოლებთ“,** — ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ ხუდონჰესის საკითხის კომენტირებისას განაცხადა და განმარტა, რომ პროექტს დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის, ადგილობრივი მოსახლეობისა და რეგიონისთვის. მოსახლეობასთან დაიწყება მოლაპარაკებები და მათ ინტერესებს გაითვალისწინებენ:

**„რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ამ თემით წლებია მანიპულირებს. ჩვენ, სახელმწიფოს, გაგვაჩნია ინტერესი, რომ ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები განხორციელდეს. ხუდონი არის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის და ამ პროექტს აუცილებლად განვახორციელებთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



## მატვეი განაპოლსკი: „ნახავთ, მიშას დაიჭერენ!“

**„თქვენ ნახავთ, მიშას დაიჭერენ, სწორედ ამას ელის ჩვენი მეგობარი ივანიშვილი“,** — აცხადებს ჟურნალისტი, რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" მიმომხილველი მატვეი განაპოლსკი:

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტის მომავალი არცთუ პირქუში იქნება: **„საქმე ისაა, რომ ახლა მერაბიშვილიც ზის და კიდევ სხვა მეგობრებიც, რომლებიც რუსეთის მეგობრები სულაც არ არიან. იქაა პრობლემა მტკიცებულებების ნაწილთან დაკავშირებით და მალე გავიგებთ, თუ რა მტკიცებულებები არსებობს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ და დამტკიცდება თუ არა, რომ მან მოკლა — დაწყებული იქიდან, პირადად ჩაარტყა თუ არა მას საფერფლე, თუ იცოდა რამე ნამდვილი ფაქტების შესახებ და დაფარა თუ ორგანიზება მოახდინა ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით. მათ უყვართ საიდუმლოების შენახვა და, შესაძლოა, კვერცხი ქრისტეს აღდგომის დღისთვის იყოს ძალიან ძვირფასი, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ხანს მას მოუწევს იზოლატორში ჩაჯდომა და მერე, სავარაუდოდ, გამოუშვებენ იმიტომ, რომ ივანიშვილისთვის სააკაშვილი უკვე უინტერესო გახდება. მას ასეთი პირადი ანგარიში აქვს — შენ მერჩოდი არჩევნებამდე, ახლა მე გერჩი და გიმტკიცებ, ვინაა აქ მთავარი“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# „დვანში იმიტომ არ ჩავედი, რომ პოპულისტი და ფარისეველი მინისტრი არ ვარ!“

## პრეზიდენტის რა განცხადება დააქვს გულისჯიბით და რა არგუმენტებით ხსნის რუსი ოკუპანტების მიერ სადემარკაციო სამუშაოების განახლებას პაატა ზაქარეიშვილი



რუსუდან შელია
557-100-768

**რუსმა ჯარისკაცებმა დვანში სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს, საქართველოს ხელისუფლება კი თმენის პოლიტიკას აგრძელებს და ნოემბერში დაგეგმილ ვილნიუსის სამიტს ელოდება. რამდენად მოსალოდნელია კონფლიქტისპირა სოფლებში ვითარების დაძაბვა, რატომ არ ჩადის დვანში და როგორ ეხმაურება სოხუმის დაცემის ოცი წლისთავს მმართველი გუნდი, „ვერსიას“ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

— სოფელ დვანში, ე.წ. საზღვართან, სადემარკაციო სამუშაოების განახლება 2008 წელს დაწყებული საოკუპაციო პოლიტიკის გაგრძელებაა. ის ტერიტორია, რაც რუსებმა 2008 წლის აგვისტოში დაიპყრეს, საკუთრებად მიაჩნიათ და მავთულხლართებით საზღვრავენ. ჯერ კიდევ 2009 წლის 23 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილი ამბობდა: რუსეთის „ფეესბეს“ სპეციალურმა რაზმებმა, ქართულ და ოსურ მხარეებს შორის არსებული სადემარკაციო ზოლის გასწვრივ, მავთულხლართების გავლება დაიწყეს, თუმცა საქართველოს ამოცანაა სიმშვიდის შენარჩუნება, რადგან შეუძლებელია, რუსეთის სისასტიკეს ქართულმა მხარემ ძალადობით უპასუხოსო. ამ განცხადების ამონაბეჭდი დღესაც გულისჯიბით დამაქვს და აბსოლუტურად ვეთანხმები, რადგან მიმაჩნია, რომ ახლაც აუცილებელია, რუსულ აგრესიას სიმშვიდით ვუპასუხოთ.

— **დღეს იმ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ატარებთ გულისჯიბით და  პოლიტიკასაც იზიარებთ, რომელსაც, ცოტა ხნის წინ, ომის გაჩაღებასა და ტერიტორიების დაკარგვაში ადანაშაულებდით?**

— სააკაშვილის ამ პოზიციას ვეთანხმები, რომელიც რიტორიკის დონეს არ გაცილებია.  პრინციპულად ვეწინააღმდეგები მის პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობის მიმართულებით, რამაც დიახაც, ოკუპაციამდე და სამხრეთ ოსეთის აღიარებამდე მიგვიყვანა. პარადოქსია, დღეს სააკაშვილი მავთულხლართებსმიღმა დარჩენილ ვაშლის ხეებს გვითვლის, თუმცა მის მიერ დაკარგული სოფლების დათვლა ავიწყდება. 2008 წელს ომი რომ არ მომხდარიყო, დღეს მსგავსი გამოწვევების წინაშე არ აღმოვჩნდებოდით.

— **მალე ერთი წელი სრულდება, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, თქვენ კი კვლავ ნაციონალური მოძრაობის შეცდომებზე საუბრობთ. მიპასუხეთ — დღეს რა მექანიზმით აპირებთ სადემარკაციო სამუშაოების შეჩერებას?**

— პენსიებზე, წიგნებსა და მიწის ხვნის პროცესზე რომ ვსაუბრობდეთ, ბუნებრივია, სააკაშვილს არც ვახსენებდი, მაგრამ იძულებული ვარ, ბატონ სააკაშვილზე ვისაუბრო, რადგან ოკუპაციის პროცესი 2008 წელს დაიწყო. თანაც ბატონი სააკაშვილი უსინდისოდ დღევანდელ პრობლემების არსებობას დღევანდელ ხელისუფლებას აბრალებს. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, ადგილობრივ მოსახლეობაზე მაქსიმალურად ვიზრუნოთ. მათ დასახმარებლად პროგრამები უკვე შემუშავებული გვაქვს, მომავალი წლიდან კი საზღვრისპირა სოფლების გაზიფიცირებას დავიწყებთ. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან მსგავსი პოლიტიკა გაგრძელდება მანამ, სანამ ოსურ და აფხაზურ მხარეებთან დიალოგის წარმართვას ვცდილობთ.

— **რა კონკრეტული ნაბიჯი გადადგით აფხაზებსა და ოსებთან დიალოგის დასაწყებად?**

— ამაში ხელს კოჰაბიტაცია გვიშლის.

— **ნაციონალური მოძრაობა ამ პროცესის დაწყებას გიკრძალავთ?**

— ნაციონალური მოძრაობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, არაფერს წარმოადგენს, თუმცა სააკაშვილი ჯერ კიდევ ის პრეზიდენტია, რომელიც თუნდაც, ჩვენს სამინისტროს სახელწოდებას პრინციპულად არ უცვლის, ამის გამო კი, აფხაზები არ გველაპარაკებიან. ამას აფხაზები და ოსები საბაბად იყენებენ რათა გაიწელოს დიალოგის დაწყების პროცესი. თანაც აფხაზები და ოსები ჯერ კიდევ არ გვენდობიან, რადგან მიხეილ სააკაშვილს დღემდე პრეზიდენტად ხედავენ. მათაც აინტერესებთ, თუ რა ფორმით დასრულდება ქართულ პოლიტიკაში კოჰაბიტაცია ზოგადად, კონფლიქტების მოგვარებას წლები სჭირდება, ჩვენ კი 20 წელი წყალში გადავყარეთ და დღეს მოთმინება აუცილებელია, რათა რუსულ პროვოკაციას არ ავყვეთ. პირიქით, ვილნიუსის სამიტის წინ, რუსეთს ჩვენგან საპასუხო აგრესია პრინციპულად სჭირდება, თუმცა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მკაფიოდ უნდა ნახოს, რომ ქართული მხარე მსგავს ვითარებაში ცივილიზებულად იქცევა და აგრესიას აგრესიით არ პასუხობს. ბევრი რამ ვილნიუსის სამიტზეც გადაწყდება.

— **უკვე დიდი ხანია, ევროკავშირი რუსეთის მხრიდან მცოცავ ოკუპაციას აკვირდება, თუმცა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები მხოლოდ შეშფოთებით შემოიფარგლებიან, რაც პროცესს ვერ აჩერებს. ვილნიუსის სამმიტზე კი ევროკავშირის ასოცირების შესახებ მხოლოდ ტექსტის პარაფირება ხდება და არა ხელმოწერა, რაც, ალბათ, შექმნილ ვითარებაზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს.**

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ასოცირებაზე ხელს ერთ წელში მოვაწერთ. როგორც „ოთარაანთ ქვრივში“ ილია ჭავჭავაძე ამბობდა, პატიოსანი ქალი ცხრა თვეში შობს ბავშვს. ჩვენ კი ცხრა თვის განმავლობაში საკმაოდ ბევრი დადებითი ნაბიჯი გადავდგით. კერძოდ, რუსული ბაზარი გაიხსნა, ჯანდაცვაში, სოფლის მეურნეობაში, პიროვნული უსაფრთხოების საკითხებში მნიშვნელოვანი წარმატებებია...

— **რუსული ბაზრის გახსნა ქართული ტერიტორიების ოკუპაციის ფონზე გამართლებულია ან ტაქტიკურად რამდენად სწორია, ამ ვითარებაში, სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრება?**

— სოჭის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენები აუცილებლად უნდა გაემგზავრონ. რაც შეეხება რუსულ ბაზარს, ეს დაკვეთა არჩევნების წინ ხალხისგან მივიღეთ. წინასაარჩევნო კამპანიისას ყველა შეხვედრაზე მახსენებდნენ, რომ რუსული ბაზრის დაბრუნება აუცილებელია. ხშირად ამის მოსმენა სულაც არ მიხაროდა, მაგრამ რა ვქნათ, ეს საზოგადოების მოთხოვნაა. ბუნებრივია, სადემარკაციო სამუშაოების გამო დაზარალებული მოქალაქეების ბედზე უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ არც კახელი გლეხი უნდა დაგვავიწყდეს, ღვინის რუსეთში გაყიდვას რომ ელოდება.

— **ფიქრობთ, კახელ გლეხს მხოლოდ ღვინის რუსებისთვის მიყიდვა აღელვებს და ოკუპაცია არ აწუხებს?**

— ასე ნამდვილად არ ვფიქრობ, მაგრამ სახელმწიფო ინტერესი თითოეული მოქალაქის  უფლებების დაცვას გულისხმობს. რა ვქნათ, მოსახლეობას ვუთხრათ, რა  დროს პენსიები, მიწის ხვნა ან ჯანდაცვის რეფორმებია, ჯერ მავთულხლართებს მივხედოთო?! არა, ყველგან უნდა ვიმუშაოთ — მავთულხლართებსაც უნდა მივხედოთ, კახურ ღვინოსაც და წყალტუბოს მწვანილსაც. არ შეიძლება, რუსების მიერ ჩარჭობილ თითოეულ ბოძს ვდიოთ და ყველაფერი დანარჩენი დავივიწყოთ.

— **არსებობს საფრთხე, „საზღვარი“ კიდევ უფრო გაფართოვდეს და ვითარება დაიძაბოს?**

— არაფერი გაზრდილა და არც ე.წ. საზღვარი გადმოწეულა... ვინც ამბობს, რომ გადმოიწია, მაჩვენოს, სად იყო მანამდე გამყოფი ხაზი და ამის შემდეგ ვისაუბროთ მის გადმოწევაზე.

— **ფაქტია, რომ ქართველებმა დვანში სამი სახლი დაცალეს და მათ ხეხილის ბაღებში დღეს რუსი მესაზღვრეები კამერის წინ პოზირებენ...**

— როგორც გითხარით, დაზარალებულ მოსახლეობას მაქსიმალურად დავეხმარებით — ეს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის პასუხია იმაზე, რომ ქართულ-აფხაზურ-ოსური დიალოგის კონტექსტში პროცესის განახლება დაიწყო. რუსებს კი არ სურთ, რომ ქართველებმა ოსებთან საერთო ენა გამოვნახოთ, თუმცა მალე ოსები დაინახავენ, რა განსხვავებაა მავთულხლართებსმიღმა და რა ხდება დანარჩენ საქართველოში. სხვათა შორის, ძალიან ბევრმა ოსმა მავთულხლართები უკვე გაარღვია და კაბინეტშიც კი მყავდა სტუმრად. ბევრი ღამით გადმოდის, ადგილობრივმა მოსახლეობამ მავთულხლართების ნაწილიც კი მოიპარა და ჯართში ჩააბარა.

— **თქვენს მიმართ საკმაოდ ბევრჯერ გაისმა პრეტენზია, რომ დვანში არ ჩახვედით და უშუალოდ არ ნახეთ, როგორ მიმდინარეობს სადემარკაციო სამუშაოები.**

— დვანში იმიტომ არ ჩავედი, რომ პოპულისტი და ფარისეველი მინისტრი არ ვარ — კონფლიქტურ რეგიონებზე მხოლოდ მე კი არა, მთლიანად სამინისტრო მუშაობს. არა მგონია, ჩემი ჩასვლა ადგილზე აუცილებელი იყოს — ეს ბოლშევიკური მიდგომა იქნებოდა, როცა ბობოლა მინისტრები, გაზულუქებული სახეებით ცხელ წერტილებში ჩნდებოდნენ და ამით ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს რაღაც რეალური კეთდებოდა. ფაქტია, მთავრობა კომპლექსურად მუშაობს — შესწავლილი გვაქვს იქ არსებული პრობლემები და დასახმარებლადაც მაქსიმუმს ვაკეთებთ.

მეოთხე

# დაწყევლილი საზმაუწყებელი

*მე-3 გვერდიდან*

**რა პროცესთან გვაქვს საქმე? „მეცხრე არხი“ მზითვით არ ვინდომეთ და ხელში უმზითვოდ შეგვრჩა – მაყარი მაინც გამოაყოლეს – არხი ნელ-ნელა იწმინდება ძველი კადრებისგან და მათ „მეცხრეარხელები“ ენაცვლებიან. ეკა კვესიტაძეს ბრალი დასდეს, მხარე ხარო და არხზე სხვა მიკერძოებული ჟურნალისტები მიჰყავთ. თუნდაც მიკერძოებულ რამდენიმე პროფესიონალს, თან მიჰყვება მთელი ლაშქარი დაბალკვალიფიციურების, თანაც მიკერძოებულების – ანუ ახლა ისინი უნდა შევინახოთ.**

დღევანდელი ხელისუფლება მათ არჩევნებამდე გაწეულ ამაგს უფასებს, მერე რა, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ხარჯზე ხდება და მერე რა, რომ საზმაუ კიდე დამატებით 4 მილიონს ითხოვს ბიუჯეტიდან და ეს ფული ჩვენი ჯიბიდანაა გადასახდელი. საზმაუწყებელი ახალი ხელისუფლების სამსახურში დგება და თან არცთუ სასიამოვნო ფორმით – ქვეყნის წამყვან ჟურნალისტებს, ვითომცდა საზოგადოების მოთხოვნით, უშვებენ არხიდან. ამაზრზენია იმის მოსმენა, თუ როგორ საუბრობს მთელი საზოგადოების სახელით საზოგადოების ერთი მუჭა ნაწილი. სავარაუდოდ, ეს ის ნაწილია, ვინც 41 შემოხაზა, თუმცა საკითხავია, ვინც შარშან 41 შემოხაზა, ახლა რა ხასიათზე აყენებს ციფრი 41, და მეორეც – რას ეუბნებიან ან იმას, ვინც 5 შემოხაზა, ან იმას, ვინც საერთოდ არ მივიდა არჩევნებზე? საზოგადოებაში აღარ არიან? როდის განხორციელდა მოკვეთა? ან როდის გავუფორმეთ ირაკლი კაკაბაძეს და კორკოტას მინდობილობები, ყველგან რომ ჩვენი სახელით ლაპარაკობენ? ან მაშინ რა გუნებაზე უნდა დადგე, როცა უყურებ ხალხს, რომელსაც „თხა და გიგოს“ მერე რომ არაფერი აქვს წაკითხული და კვესიტაძესა და პაიჭაძეს უვიცებად იხსენიებს? ან მაშინ, როცა ფუნას ესვრიან საზმაუწყებელს? ან ეს ცრუეპატაჟი რისი სიმპტომია და მერე კიდე ვინ ისვრის ამ ფუნას, რას ესვრის და რაც მთავარია — რატომ? ან ვინ იღებს გადაწყვეტილებებს დღეს საზოგადოებრივ არხზე, ვინ არიან და რას უნდა ველოდეთ მათგან?

სამეურვეო საბჭოს ემზარ გოგუაძე ხელმძღვანელობს, რომლის ჟურნალისტურ აქტივში „სახალხო განათლების“ კორესპონდენტობა (1985-1990წწ.) და გაზეთ „ერის“ სტილისტ-ლიტმუშაკობაა (1992-2002 წწ.). ამ გამოცდილებით ვაპირებთ არხის აღორძინებას? გენდირექტორი თამაზ ტყემალაძეა, ის თამაზ ტყემალაძე, რომელიც სწორედ საზმაუს რეფორმებს შეეწირა – 2004 წელს გაუშვეს. მანამდე კი – 1998-2000 წლებში რედაქტორობდა ასლან აბაშიძის დაფინანსებულ გაზეთს „ახალი ქართული გაზეთი“, რომელმაც 2 წელიც ვერ იარსება, მიუხედავად გვარიანი დაფინანსებისა. მაშინ ვერ უპასუხა მისმა ნაღვაწმა საზოგადოების მოთხოვნებს და ახლა რატომ გვგონია, რომ სუპერრეიტინგულ არხს გაგვიკეთებს, საზოგადოების მოთხოვნებს რომ უპასუხებს?

ამდენი სკანდალის შემდეგ, ისევ გააქტიურდა საუბარი იმაზე, რომ საერთოდ გასაუქმებელია საზოგადოებრივი მაუწყებელი. საპარლამენტო უმრავლესობიდან ეს პოზიცია ზვიად კვაჭანტირაძემ გაახმოვანა Facebook-ში („საზმაუს დახურვის მომხრე ვარ, დიახ, საერთოდ უნდა დავხუროთ, რადგანაც წურბელებად იქცნენ და ვერა და ვერ გახდნენ მიუკერძოებლები და ნეიტრალურები. იქ დღესაც მოკალათებულები არიან ნაცების ხელისუფლების მანქურთები და ათასგვარ ინტრიგებს ხლართავენ. ჩვენ კი მათ ხელფასებს ვუხდით“). საზმაუს დახურვის მოთხოვნას სხვა პირების გვერდებზეც ნახავდით ნაც-ქოცობის მიუხედავად.

**ამ ინიციატივით კოკა ყანდიაშვილი ჯერ კიდევ შემოდგომით გამოვიდა. მას მიაჩნდა, რომ „საზმო“ — უნდა გაუქმდეს და არ უნდა ფინანსდებოდეს ხალხის მიერ, რომ ქონება და ლიცენზია უნდა გაიყიდოს ძალიან ძვირად და მიღებული თანხა მოხმარდეს ხალხს! „თუ არ გაუქმდება, მაშინ, პირველი: უნდა შეიქმნას ისეთი კანონი, რომელიც სრული დამოუკიდებლობის გარანტიას მიანიჭებს. - მეორე: ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ეს ტელევიზია ისევ მთავრობის ჯიბის ტელევიზია იქნება! ლაკმუსის ქაღალდივით არის ამ არხების მომავალი — აქ გამოჩნდება, რეალურად, რა სახის მთავრობა მიიღო საქართველომ“, —  წერდა მაშინ ყანდიაშვილი; დღეს კი, ნაციონალების განცხადებით, სწორედ კოკა ყანდიაშვილი ახორციელებს კონტროლს საზმაუში.**

რა ხდება? ამ კითხვის ადრესატი მხოლოდ კოკა ყანდიაშვილი არაა. ადრესატი ყველაა – დიდიან-პატარიანად: წინა და ახალი ხელისუფლება, საზოგადოება. მართლაცდა, გვინდა ეს ტელევიზია? კიდევ რამდენი წელი უნდა ვიხადოთ ჯიუტად ამ არხისთვის ფული? ერთი ანეკდოტის არ იყოს, ხო ხედავთ რომ გვწყენს? ხომ ხედავთ რომ დაწყევლილია?



# გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლაში მეტ პლუსს ვხედავ, ვიდრე — მინუსს!“

## პრემიერის მრჩეველს პარლამენტთან კითხვები აქვს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**გასული კვირის მთავარი პოლიტიკური მოვლენა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და პოლიტიკური ექსპერტების შეხვედრა იყო, რომელიც 4 საათის განმავლობაში პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. რიგში ჩადექით, უნდა დაგთვალოთ, — ასე მიმართა პრემიერმა პოლიტიკის ექსპერტებს და თითოეულ მათგანს საკუთარი პოზიციისა თუ გამონათქვამის დასაბუთება და კონკრეტული ანალიზი მოსთხოვა. პრემიერის ტონი საზოგადოების ნაწილმა არაორაზროვნად მიიღო, რაც ბუნებრივია, რადგან ასეთი შეხვედრა აქამდე არ გამართულა და არც ერთ ხელისუფალს აზრად არ მოსვლია, ექსპერტების პოზიციები საჯაროდ განეხილა. მოკლედ, ექსპერტებთან შეხვედრაზე ივანიშვილის, რბილად რომ ვთქვათ, მკაცრი და უხეში ტონი ყველამ შენიშნა. ორი კვირის წინ კი პრემიერ-მინისტრი ეკონომიკის ექსპერტებს შეხვდა... არც ერთ შეხვედრას ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი გია ხუხაშვილი არ დასწრებია. ყველას აინტერესებს, სად არის გია ხუხაშვილი და რატომ არ დაესწრო შეხვედრებს? — პასუხი მარტივია: ხუხაშვილი ივანიშვილის მრჩეველია და ზემოხსენებულ შეხვედრებზე მისი დასწრება არ შეიძლებოდა, რადგან ეს ინტერესთა კონფლიქტი იქნებოდა. გია ხუხაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ „ვერსიამ“ ივანიშვილისა და ექსპერტების შეხვედრის ანალიზით დაიწყო.**

— ეს შეხვედრა ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, რადგან ბიძინა ივანიშვილთან ასეთი ტიპის პოლემიკაში მონაწილეობის გამოცდილება მაქვს, ამიტომ განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. შეხვედრას აჟიოტაჟი იმიტომ მოჰყვა, რომ ექსპერტები, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ, დიდი ხნის ჩამოყალიბებული სტერეოტიპებით მოქმედებენ — ხელისუფალს ჭკუა უნდა ასწავლო, გამოთქვა კრიტიკული შენიშვნა და ხელისუფალმა უნდა გიპასუხოს. მარტივად რომ ვთქვათ, წლების განმავლობაში ხელისუფლებისა და ექსპერტების მონოლოგის პრინციპი დამკვიდრდა. ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ღია პოლემიკა, სიმწვავე აქამდე არ ყოფილა. ექსპერტებიც, რომლებიც ამას შეჩვეულები არ იყვნენ, დაიძაბნენ და დაიბნენ, თუმცა ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, რადგან ერთი რამ უნდა ვისწავლოთ, საზოგადოებას მხოლოდ იმის უფლება არ აქვს, ხელისუფლება აკრიტიკოს, მიუთითოს ან მხოლოდ ანალიზი გააკეთოს, მას პასუხისმგებლობაც აქვს. შესაბამისად, ჩვენი პოზიცია მეტად უნდა დავასაბუთოთ. ჩემი აზრით, პრემიერმა თავისი კეთილგანწყობა აჩვენა, რადგან თუ ადამიანთან ცუდი დამოკიდებულება გაქვს, ასეთ პოლემიკაში არ შეხვალ. საექსპერტო წრეებმა, ცნობადმა სახეებმა უნდა ისწავლონ, რომ მათ ნათქვამ ნებისმიერ სიტყვას მაღალი წონა და ფასი აქვს, ამიტომ ნებისმიერ მოსაზრებას სერიოზული ანალიზი უნდა ახლდეს და არა ზედაპირული ჭკუის სწავლება. ვფიქრობ, ორივე მხარისთვის — ხელისუფლებისა და ექსპერტებისთვის საკმაოდ სასარგებლო შეხვედრა შედგა, რასაც საბოლოოდ, მხოლოდ პოზიტივი მოჰყვება.

**— ბატონო გია, წინა ხელისუფლების დროს, შეფასებებს, როგორც ექსპერტი, თქვენც აკეთებდით, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა თქვენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს ყურადღებას არ აქცევდა. ამ ფონზე, კარგია, რომ პრემიერი ექსპერტების მოსაზრებებით დაინტერესდა, მაგრამ მეორე უკიდურესობაც შევნიშნე — „რიგში ჩადექით, უნდა დაგვთვალოთ“, რას ნიშნავს?**

— არა, ასე არ არის. ხომ ნახეთ, პირველ ეტაპზე, სიმწვავე იყო, მაგრამ საბოლოოდ, საკმაოდ კორექტულად განვითარდა მოვლენები. ბიძინა ივანიშვილი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც ემოციებს მოკლებული არაა და ურთიერთობის საკუთარი სტილი აქვს. საქართველოს პრეზიდენტისგან განსხვავებით, პრემიერს შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია, მაგრამ საკმაოდ შემტევია, რაც ახასიათებს და დისკუსიაც სწორედ ესაა. დისკუსიაში ყველაფერი ხდება, აუცილებელია ლოგიკური დასაბუთება, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური შეტევაც კი ოპონენტის წინააღმდეგ და ამას უნდა შევეგუოთ. მთავარია, ხელისუფლება კუნთების თამაშს არ შეეცადოს, თორემ თუ კონტექსტიდან ამოგლეჯილ, ცალკეულ ფრაზებს გამოვეკიდებით, შესაძლოა, შორს წავიდეთ. ეს არის ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობის სტილი და ვისაც მასთან კონტაქტი აქვს, ყველამ იცის, რომ ამ ტიპის დიალოგი, სიმწვავის მიუხედავად, სრულიად მეგობრულად ვითარდება. ივანიშვილს არ უყვარს ადამიანი, რომელიც საკუთარ აზრს არ გამოთქვამს და არ ეკამათება, პრემიერს კარის ექსპერტები არაფერში სჭირდება; პირიქით, რაც უფრო მეტი კრიტიკა და ოპონირება იქნება, მიაჩნია, რომ მისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის სასარგებლოა, მაგრამ ერთადერთი, რასაც მოითხოვს, ისაა, რომ ნებისმიერი მოსაზრება ბოლომდე დაასაბუთონ. მოგეხსენებათ, ექსპერტები და მათ შორის, მეც საკმაოდ უპასუხისმგებლოები ვართ, ზოგჯერ ისეთ თემებზე ვსაუბრობთ, რაშიც მაინცდამაინც კომპეტენტურები არ ვართ და ხშირად შეთქმულების თეორიებსაც ვავითარებთ, ხელისუფლებას ჭკუას ვასწავლით. არადა, თითოეული ჩვენგანი აგებს პასუხს თავის მოსაზრებებზე და ამა თუ იმ საკითხის ანალიზსაც ამ პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მივუდგეთ. ეს იყო პირველი დიალოგი, რომელიც შედგა, შესაძლოა, მწვავე, არცთუ სასიამოვნო, მაგრამ დიალოგი, რომელმაც ხელისუფლებასა და ექსპერტებს შორის აქამდე არსებული სტერეოტიპი დაამსხვრია.

**— როდესაც ბიძინა ივანიშვილმა კონკრეტულ ექსპერტს კონკრეტული კითხვა დაუსვა, თუ რის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, ექსპერტმა მარტივი გამოსავალი მოძებნა და საკუთარი პოზიციის დამახინჯებაში მედია დაადანაშაულა. გამოდის, ჩვენ, ჟურნალისტები ვამახინჯებთ ექსპერტების მოსაზრებებს, ეს ნორმალური გგონიათ?**

— აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას. ექსპერტებს ორი ტიპის ურთიერთობა აქვთ ჟურნალისტებთან, ერთი, როდესაც წინასწარ ითხოვენ გამზადებული მასალის წაკითხვას და მეორე, რომლებიც ჟურნალისტებს ენდობიან. კარგად იცით, არ მივეკუთვნები ექსპერტთა ისეთ ტიპს, რომელიც წინასწარ ითხოვს მასალის წაკითხვას, მაგრამ თუ ექსპერტი აღმოაჩენს, რომ ჟურნალისტმა მისი აზრი დაამახინჯა, შეუძლია საჯაროდ მიმართოს და პასუხიც მოსთხოვოს. როდესაც ამას არ აკეთებს და პოსტ-ფაქტუმ, სადაც დასჭირდება, აპელირებს, რომ თურმე, ჟურნალისტმა დაამახინჯა მისი აზრი, რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ არადამაჯერებელია.

**— კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ: ყველაზე აქტუალური თემა ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დარჩენა-არდარჩენაა, კონკრეტულმა ექსპერტმა თქვა, რომ ცუდი იქნება, თუკი ამ ვითარებაში, ივანიშვილი თანამდებობას დატოვებს და იქვე დაასაბუთა, რომ ამას კოალიციის დაშლა მოჰყვება, რაც ქვეყანაში არეულობასა და ქაოსს გამოიწვევს. აღმოჩნდა, რომ ექსპერტებს ამის თქმის უფლებაც არ ჰქონიათ, არ მესმის, მაშინ საერთოდ რა უნდა თქვან ან როგორ უნდა შეაფასონ ვითარება?**

— მგონი, არასწორად გაიგეთ ყველაფერი. რა თქმა უნდა, ექსპერტს ამის თქმის უფლება აქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, არგუმენტები უნდა მოიყვანოს. გაჩუმდი და არ ილაპარაკოო, არავისთვის მიუმართავს იმ შეხვედრაზე. ბიძინა ივანიშვილს უფლება აქვს, ნებისმიერი რეაქცია ჰქონდეს, მათ შორის, საკმაოდ მწვავე და შემტევიც იყოს, მაგრამ დისკუსიაში ეს შეტევა ორმხრივი უნდა იყოს. სხვათა შორის, ექსპერტებში კი არა, კოალიციის შიგნით დღემდე კამათობენ ივანიშვილის ამ გადაწყვეტილების გამო, პოლიტიკოსები ცდილობენ დაუმტკიცონ ივანიშვილს, რომ მისი წასვლა სწორი არ არის და იქაც საკმაოდ ექსპრესიულად მიმდინარეობს ეს პროცესი. რაც შეეხება კოალიციის დაშლას, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, რა თქმა უნდა, კოალიცია იმ მარტივი მიზეზის გამო არ დაიშლება, რომ ცალკე აღებულ თითოეულ პარტიას ლეგიტიმაციის პრობლემა აქვს. ივანიშვილის გარეშე, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, რადგან კარგად გესმით, რომ სწორედ ივანიშვილის ავტორიტეტზე დგას დღევანდელი ხელისუფლება, მისი წასვლის შემდეგ, ეს ლეგიტიმაცია ისედაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და თუ დაიშალნენ, პერსპექტივა აღარ ექნებათ. უნდათ თუ არა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუნდაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მოუწევთ ერთად იყვნენ, ამიტომ ახლო და საშუალო პერიოდში, კოალიციის დაშლის საფრთხე არ არის.

სხვათა შორის, ვიზიარებ პრემიერის მოსაზრებას წასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ვამბობ, რომ რისკები არ არის. ყველა გადაწყვეტილებას აქვს თავისი მინუსი და პლუსი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლაში მეტ პლუსს ვხედავ, ვიდრე — მინუსს.

*დასასრული მე-7 გვერდზე*



## ილია მეორე: „დღეს ჩვენ, ყველანი, დევნილები ვართ!“

„სოხუმის დაცემიდან 20 წელი შესრულდა და დღეს ჩვენ, ყველანი, დევნილები ვართ,“ — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

როგორც მან აღნიშნა, ლტოლვილია თავადაც, რადგან ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტია და აფხაზეთში ჩასვლის უფლება არ აქვს.

**„დღეს ჩვენ, ყველანი, დევნილები ვართ. მათ შორის მეც, რადგან ვარ ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი და არ მაქვს უფლება, ჩავიდე აფხაზეთში. ჩვენი მწუხარება სიხარულით შეიცვლება და ღვთის მადლით, მალე ვიზეიმებთ საქართველოს გამთლიანებას. ეს საჭიროა ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც. უფრო მეტად კი, ეს საჭიროა აფხაზებისთვის, თუ მათ თავის გადარჩენა სურთ“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა ჟიული შარტავა და ორდენის ტარების უფლება მის მეუღლეს მიანიჭა.

წმინდა ნინოს ოქროს ორდენი კი გადაეცა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. **„აფხაზეთის უზენაესი საბჭო ბევრს აკეთებს, რომ აფხაზეთი დაგვიბრუნდეს“,** — ბრძანა უწმინდესმა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში სიტყვით გამოვიდა

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში სიტყვით გამოვიდა. ქვეყნის პირველმა პირმა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი თომას ბურგენტალი დააჯილდოვა, რომელიც 1995-96 წლებში მიხეილ სააკაშვილის დოქტორანტურის ხელმძღვანელი იყო.

*„ინტერპრესნიუსი“*



## გიორგი მარგველაშვილი: „27 უნდა იყოს განაჩენი და არა — უბრალოდ, არჩევნები!“

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი წალკის მოსახლეობას შეხვდა. მარგველაშვილი მათ თავდაპირველად სომხურ, ბერძნულ, აზერბაიჯანულ, რუსულ და ქართულ ენებზე მიესალმა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, 27 ოქტომბერი უნდა იყოს განაჩენი და არა უბრალოდ არჩევნები.

**„27 უნდა იყოს განაჩენი და არა უბრალოდ არჩევნები იმ ადამიანებისთვის, ვისაც არ სურს ჩვენთან ერთად ქვეყნის შენება. არ შეიძლება, არჩევნები უბრალოდ მოვიგოთ. ეს უნდა იყოს ძალიან სერიოზული მოგება. ეს უნდა იყოს ისეთი პროცენტი, რომელიც სამაგალითო იქნება და მე ამაში თქვენი იმედი მაქვს“,** — მიმართა მარგველაშვილმა ამომრჩეველს.

*„მედიანიუსი“*



# „ფინანსთა სამინისტროს წინ თავს ხომ არ დავიწვავ?.. ამ ქვეყანაში თითქოს ყველას ვიცნობ, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის!“

## სკანდალური ინტერვიუ ირაკლი იაშვილთან — რა პრეტენზია აქვს ნოდარ ხადურთან, რატომ ითხოვს გეზ-ის რეფორმას და რა კორუფციული სქემა შეუქმნა შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა გოგა ცხაკაიამ „რაკიინ დეველოპმენტს“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ფინანსთა სამინისტრომ გაფორმების ეკონომიკური ზონის — გეზ-ის რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა გადადო. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური მიიჩნევს, რომ გეზ-ის რეფორმა აუცილებელია, რადგან წინა ხელისუფლების დროს, სახელმწიფომ ბიზნესკომპანიებს მოქმედების არეალი შეუზღუდა და საბაჟო ნაწილში, ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, კომპანიებს დაუდგინა, თუ რომელ ტერმინალში უნდა ჩამოცალონ ტვირთი, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, „ისთგეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი ნოდარ ხადურს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შეხვდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ირაკლი იაშვილი გარკვეულ რეკომენდაციებს შეიმუშავებდა და ფინანსთა სამინისტროს გადაუგზავნიდა. „ისთგეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციები შეიმუშავა, ფინანსთა სამინისტროს გადაუგზავნა და განხილვა 2013 წლის 15 სექტემბერს დაინიშნა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, გადაიდო. პარალელურად, ნოდარ ხადურმა საგადასახადო და საბაჟო კოდექსის გამიჯვნაზე დაიწყო მუშაობა, „ვერსია“ უკვე წერდა, რომ ამ ცვლილებას აუცილებლად მოჰყვება შემოსავლების სამსახურის, განსაკუთრებით კი, გეზ-ის რეფორმა. რა რეკომენდაციები შეიმუშავა და რა უნდა შეიცვალოს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში? — „ვერსიას“ „ისთგეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი ესაუბრა.**

— შეზღუდვები, რომელიც სახელმწიფომ ბიზნესს დაუწესა, 2011 წლიდან დაიწყო, როდესაც შემოსავლების სამსახურის უფროსად გოგა ცხაკაია დაინიშნა. აღმოაჩინეს, რომ საქართველოში მსუბუქი ავტომობილები დიდი რაოდენობით შემოდის, რადგან ესაა იმპორტისა და ექსპორტის კომბინაცია, სადაც ძალიან დიდი ფული ტრიალებს, ამიტომ ამ ბიზნესის ხელში ჩაგდება და ფულის გაკონტროლება გადაწყვიტეს. სხვათა შორის, ეს დავით კეზერაშვილსაც სურდა, მაგრამ ნავთობის ბიზნესითა და სარკინიგზო გადაზიდვებით იმდენად იყო დაკავებული, რომ ამისთვის ველარ მოიცალა. მას შემდეგ, რაც თბილისში, ფოთსა და ბათუმში გაფორმების ეკონომიკური ზონები შეიქმნა, გოგა ცხაკაიამ მსუბუქი ავტომობილების განბაჟების კორუფციული სქემა შეიმუშავა. იმ პერიოდში, ფოთის პორტის მფლობელი „რაკიინ დეველოპმენტი“ იყო, ცხაკაიამ სწორედ არაბულ „რაკიას“ გაუკეთა საკონტეინერო ტერმინალი, სადაც ნებისმიერ გადამზიდავ კომპანიას თავისი ტვირთი უნდა განებაჟებინა. ამ საკონტეინერო ტერმინალს მიაბეს სწორედ ფოთის გეზ-ი.

„ისთგეით ჯგუფის“ გარდა, მსოფლიოში სიდიდით მესამე საზღვაო კომპანია „სი ემ ეი“-ს წარმომადგენელი ვარ, ესაა კომპანია, რომელსაც საქართველოში მსუბუქი ავტომობილები შემოჰყავს. ამ ბაზარზე კიდევ 6 კომპანიაა, მათ შორის, „მაერსკი“, „ზიმლაინი“... ეს ინდუსტრია ასე მუშაობს: გემი და კონტეინერები, რომლებიც გემზეა, ჩვენი საკუთრებაა, ტერმინალი ფოთში, სადაც ეს ინდუსტრია მუშავდება, ასევე ჩვენი საკუთრებაა. აბსოლუტურად უზრუნველყოფილი და კონკურენტებისგან გამიჯნულები ვართ, მაგრამ გოგა ცხაკაიამ, „რაკიინთან“ მოლაპარაკების შემდეგ, ფოთში სხვა საკონტეინერო ტერმინალი ააშენა, ტერმინალს გეზ-ი მიუშენეს და ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ნორმატიული აქტებით დაწერეს, რომ მსუბუქი ავტომობილები, რომლებიც საქართველოში შემოდის, აუცილებლად „რაკიინის“ საკუთრებაში არსებულ ტერმინალში უნდა განბაჟდეს. ამ ბრძანების საფუძველზე, ჩემი ტვირთი იმ ტერმინალში უნდა შევიტანო, სადაც კონკურენტებს მომსახურების საფასური უნდა გადავუხადო. ამან გამოიწვია, რომ „სი ემ ეი“-ს საკუთრებაში არსებული ტერმინალის თანამშრომლები, დაახლოებით, 135 ადამიანი შინ გავუშვი. საერთოდ, ამ ბრძანების გამო, ფოთში სამსახური 800-მა ადამიანმა დაკარგა.

„სი ემ ეი“-ს მსოფლიო მასშტაბით, ყველა ნავსადგურსა და ხმელეთზეც 650 ოფისი აქვს. საქართველო ერთადერთი წერტილია რუკაზე, სადაც სახელმწიფო ბიზნესის საქმიანობაში ერევა და პირდაპირ მოითხოვს, სად უნდა განაბაჟო შენი კონტეინერი. გეკითხებით, რა სახელმწიფოს საქმეა, სად დაიცლება კონტეინერი? სხვათა შორის, როდესაც „რაკიინმა“ ფოთში პორტი და ტერმინალი გაყიდა, „მაერსკმა“ იყიდა, რომელიც ფრანგული კომპანია და „სი ემ ეი“-ს გლობალური კონკურენტია მსოფლიო მასშტაბით. წარმოიდგინეთ, სიდიდით მესამე კომპანია „სი ემ ეი“-ს ტვირთი, სიდიდით მეორე კომპანია „მაერსკის“ ტერმინალში შეაქვს და გაფორმებისას, კონკურენტს მომსახურების საფასურსაც უხდის.

> **ფრანგები მიიჩნევენ, რომ არანორმალურები ვართ და ეს ასეა, რადგან მოვიდა დეგენერატი ცხაკაია, რომელმაც იმის გამო, რომ მიშა სააკაშვილისთვის თავი მოეწონებინა, სულელური კანონი მიიღო. ერთი წელიწადია, ახალ ხელისუფლებას ვუხსნი და ვეუბნები, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. პირადად შევხვდი ნოდარ ხადურს და შემოსავლების სამსახურის უფროსს, ბიზნესომბუდსმენი და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტებიც ჩართულები არიან ამ პროცესში, მაგრამ შედეგი არ ჩანს.**

**— ბატონო ირაკლი, ნოდარ ხადური საგადასახადო და საბაჟო კოდექსის გამიჯვნაზე იწყებს მუშაობას და მისი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ საბაჟოს ნაწილში, სადაც გარკვეული რეგულაციები ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე იცვლება, არასწორია და ეს ფუნქცია ისევ პარლამენტს უნდა დაუბრუნდეს. ამ ცვლილებას კი გარკვეული დრო სჭირდება და, შესაბამისად, ეს პრობლემაც მოგვარდება.**

— ის, რაც უკვე გითხარით, ბიზნესის პრობლემაა, რომელიც გეზ-მა შექმნა, მაგრამ რასაც ახლა მეკითხებით, გლობალური პრობლემაა. რაც შეეხება კოდექსის გაყოფას, როგორც ჩანს, ევროპელები მართლა გვთხოვენ, საბაჟო კანონმდებლობა ცალკე იყოს, რადგან ერთიანი საბაჟო და საგადასახადო კოდექსი დიდი დოკუმენტია და მასში გარკვევა ძნელია. შესაბამისად, სიმარტივეს ითხოვენ და რაც მთავარია, საბაჟო კანონმდებლობა მარტივად შეცვლადი არ უნდა იყოს. შესაბამისად, საბაჟო რეგულაციები ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებითა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით არ უნდა იცვლებოდეს. პრობლემა, რომელიც ჩვენს ბიზნესს შეექმნა, სწორედ ფინანსთა მინისტრის ბრძანებამ გამოიწვია. უმჯობესია, დიდხანს ვიმსჯელოთ და სწორად მივიღოთ კანონი, ვიდრე ორ დღეში დავამტკიცოთ და მერე ხშირად ვცვალოთ. კანონი გრძელვადიანი და პროგნოზირებადი უნდა იყოს, ზუსტად უნდა ვიცოდე, რომ ხვალ კიდევ არ მოვა ცხაკაია, რომელიც კიდევ ერთ, სულელურ კანონს დამიწერს.

**— ბიზნესის კუთხით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსის ოთხ წელიწადში ერთხელ შეცვლა რამდენად გამართლებულია?**

— ასე იმიტომ ხდება, რომ ყველა მთავრობისთვის ამას პოლიტიკური დატვირთვა აქვს — ამით ხდება ხმების მოპოვება, სამწუხაროდ, საბაჟო და საგადასახადო კოდექსს სოციალურ დატვირთვას აძლევენ, არადა, ასე არ უნდა იყოს, რადგან ეს კოდექსი მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტია და გრძელვადიანი უნდა იყოს. ნებისმიერ ფისკალურ ცვლილებას, რომელიც ბიზნესის აქტიურობაზე გარკვეული ფორმით აისახება, აუცილებლად უნდა ახლდეს განხილვის ორი ან სამწლიანი პერიოდი, რათა ბიზნესმა გადაწყობა ადვილად მოახერხოს.

**— ხომ შეიძლება, კანონში ჩანაწერი გაკეთდეს, რომ საბაჟო რეგულაციები ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კი არა, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე შეიცვალოს?**

— გასაგებია, მაგრამ ინსტრუქციები ხომ უნდა დავამტკიცოთ, კონკრეტულად, რა რეგულაციებზეა საუბარი, როგორ უნდა შეიცვალოს და ასე შემდეგ. საბოლოო ჯამში, საკმაოდ დიდ დოკუმენტს მივიღებთ და ამიტომ უმჯობესია, თუკი კოდექსი გაიმიჯნება.

**— ნებისმიერ შემთხვევაში, გეზ-ის რეფორმა ხომ გარდაუვალია?**

— თუ საგადასახადო და საბაჟო კოდექსი გაიყოფა, ცხადია, ფუნქციებიც გაიმიჯნება და შედეგად, გეზ-ის რეფორმაც გარდაუვალი იქნება.

**— მას შემდეგ, რაც ფინანსთა მინისტრს რეკომენდაციები გაუგზავნეთ, სამინისტროდან რა პასუხი მიიღეთ?**

— სამწუხაროდ, პასუხი ჯერ არ მიმიღია. ფინანსთა მინისტრმა ვადა 15 სექტემბრამდე ითხოვა, მაგრამ შემდეგ განხილვა გადადო. ყველაფერი, რაზეც ახლა გესაუბრებით, ქაღალდზე, რეკომენდაციების სახით გადავიტანე და გავუგზავნე.

> **მოკლედ, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, სხვაგვარად როგორ მოვიქცე, არ ვიცი, ფინანსთა სამინისტროს წინ თავს ხომ არ დავიწვავ? დაკარგული ქონების დაბრუნებას ან ციხიდან გამოშვებას ხომ არ ვითხოვ? ერთი წელია ვამბობ, რომ კრეტინული ნორმატიული აქტი გააუქმეთ და ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დააბრუნეთ! ერთი წელია, შედეგს ვერ მივაღწიე, არადა, თითქოს ყველას ვიცნობ ამ ქვეყანაში, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. ჯერ ფინანსთა მინისტრი არც კი იყო, როდესაც ნოდარ ხადურს ამ პრობლემაზე ვესაუბრე, კარგად ვიცნობ და ვიცი, გონიერი კაცია, მაგრამ მიკვირს, ამდენ ხანს რატომ ფიქრობს.**

**— ამ რეკომენდაციების შესახებ ბიძინა ივანიშვილმა იცის?**

— მასთან აღარ მივსულვარ, ისედაც იმდენი პრობლემაა ქვეყანაში. ხალხს ქონება წაართვეს და გააუბედურეს, ჩემთვის ქონება მაინც არ წაურთმევიათ და ამიტომ ივანიშვილი აღარ შევაწუხე. ამ პრობლემის მოგვარებას მხოლოდ ერთი საათი სჭირდება, საგადასახადო და საბაჟო დოკუმენტის გაყოფას კი რამდენიმე თვე დასჭირდება. ოპტიმისტურად რომ გითხრათ, სრული ერთი წელი დასჭირდება ამ პრობლემის მთლიანობაში მოგვარებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, საპარლამენტო სესიაზე თუ გავიდა ეს საკითხი, ჩათვალეთ, კარგი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

## ვერსიანიუსი

### სოფლის მეურნეობის სამინისტრო გლეხებს სთხოვს, პროვოკაციას არ აყვნენ

საწარმოების მიერ ე.წ. დილერების საშუალებით ყურძნის მიღებაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახური სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

**„გვინდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და თხოვნით მივმართავთ გლეხებსა და ფერმერებს, რომ არ აყვნენ პროვოკაციას. გთხოვთ, დაეყრდნოთ მხოლოდ „რთველი 2013“-ის საკოორდინაციო შტაბის მიერ დადგენილ ორგანიზაციულ მითითებებს, საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდეთ ცხელ ხაზს ნომერზე 2 47 01 01 და მიიღოთ ოპერატიული და სანდო ინფორმაცია“,** — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით (2013 წლის 26 სექტემბერი), კახეთის რეგიონში 80 კომპანიის მიერ სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, ახმეტის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში უკვე შესყიდული და გადამუშავებულია 73382.0 ტონა ყურძენი.

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან „რთველი 2013“-ში ჩაერთვება რაჭის რეგიონი, სადაც რთვლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, გაიხსნება საკოორდინაციო შტაბი.

*„მედიანიუსი“*

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა და მათმა მშობლებმა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტროსთან აქცია გამართეს და იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლებიც შშმ პირებს და, განსაკუთრებით, ბავშვებს სხვადასხვა მიმართულებით აქვთ. ასეთი ბავშვებისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, ე.წ. საოჯახო დახმარების გაუქმებაა... მშობლებს რამდენიმე მოთხოვნა აქვთ, მათ შორის: საოჯახო დახმარების აღდგენა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პენსიის პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსიასთან გათანაბრება და პენსიის საარსებო მინიმუმთან შესაბამისობა... ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე და სოციალური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აქციის მონაწილეებს შეხვდნენ. სამინისტროს წარმომადგენლების განაცხადებით, შეეცდებიან, ყველა ეს საკითხი და პრობლემა შემდეგი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ.**



# პატრიარქი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ღვთის წინაშე საქართველოსთვის ანთებული სანთლები არიან, მათი მშობლები კი — გმირები!“

არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი — საქართველოს“, დღის ცენტრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მშობლები და მათი პედაგოგები პატრიარქმაც მიიღო, დალოცა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა. პატრიარქმა პატარებს საგალობელი „წმინდაო ღმერთო“ რამდენჯერმე მოასმენინა და მშობლებს მოუწოდა, ერთად ეგალობათ — უწმინდესი „წმინდაო ღმერთოს“ საგალობელზე თავად გალობდა. პატრიარქმა მშობლებს ურჩია, რომ „წმინდაო ღმერთოს“ საგალობელი ბავშვებს ხშირად მოასმენინონ და აგრეთვე ბრძანა, რომ ეს ბავშვები ღვთის წინაშე საქართველოსთვის ანთებული სანთლები არიან, მათი მშობლები კი — გმირები.

ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველო“ 1998 წლიდან არსებობს და თავს, ძირითადად, შემოწირულობით ინახავს. დღის ცენტრში 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები არიან.

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდის“ ხელმძღვანელის თეონა ყაჭეიშვილის თქმით, ამ სფეროში პირველი პრობლემა ისაა, რომ სწორი იდენტიფიკაცია არ ხორციელდება:

**„რამდენიმე სახის შეზღუდვაა და ერთი და იგივე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს, შეიძლება პენსია აკმაყოფილებდეს, მეორეს — წამლები, პამპერსი ან თანხა სჭირდებოდეს... ამიტომ სახელმწიფო სოციალური პაკეტი უნდა არსებობდეს, რათა თითოეულ ადამიანს, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ღირსეული კომპენსაცია მიეცეს.**

**ამიტომ პრიორიტეტები ქაღალდზე არ გვჭირდება, პროგრამებში უნდა აისახოს და რეალური ნაბიჯები გადაიდგას. როცა პრიორიტეტი ასეთი ადამიანების, ბავშვების საჭიროება იქნება, აუცილებელი დახმარებაც უნდა ხორციელდებოდეს. აუცილებელია ამ ადამიანებზე ორიენტირებული დაზღვევა, წელიწადში 10-დღიანი რეაბილიტაცია კი არაფრისმომტანია. მოკლედ, სტრუქტურა მთლიანადაა გამოსასწორებელი. დღევანდელ მთავრობას ამის მზაობა აქვს, რადგან პრემიერ-მინისტრია დაინტერესებული. საკოორდინაციო საბჭო ადრეც მოქმედებდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ორი წელი ისე გავიდა, არ იკრიბებოდა. ახლა პრემიერი დგამს ნაბიჯს, შშმ პირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზეც მოვიდა. მიმდინარეობს სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა, რომელშიც ყველა სამინისტრო ჩართულია“.**

**„თუ საზოგადოების ძალისხმევა მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პოტენციალის რეალიზაციასა და არა მათ შეზღუდულ შესაძლებლობაზე, ეს სასარგებლო იქნება როგორც თავად ბავშვებისათვის, ასევე იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ“,** – ნათქვამია გაერო-ს ბავშვთა ფონდის წლიურ ანგარიშში. გაერო-ს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში საზოგადოების 40% დასაშვებ სოციალურ ნორმად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ სტიგმას. ამ რეალობას თავი რომ დავაღწიოთ, მართლაც, მუხლჩაუხრელი მუშაობაა საჭირო. ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის ზოგადი გაუმჯობესება პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს ამ სფეროში არსებული მძიმე ვითარების გამოსწორებაზე.

ვერსიანიუსი

## შს მინისტრი წვევამდელთა ფიცის მიღების ცერემონიას დაესწრო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ წვევამდელთა ახალი ნაკადი მიიღო. შსს-ს ინფორმაციით, სამასმა წვევამდელმა სამხედრო ფიცი შსს-ს ე.წ. მოდულის შენობასთან საზეიმო ვითარებაში დადო. ფიცის მიღების ცერემონიას შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

ახალწვეულებმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულეს და სამხედრო მარშით ჩაიარეს, რის შემდეგაც საკუთარი საბრძოლო უნარების დემონსტრირება მოახდინეს.

ცერემონიის დასრულებისას, წვევამდელები მამა დავითმა დალოცა. წვევამდელები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს შსს-ს სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტში გაივლიან. მათ ახალი სამხედრო ფორმები გადაეცათ, რომლის დიზაინი შინაგან საქმეთა სამინისტრომ წელს შეიმუშავა. ახალი დიზაინის ფორმებს მომდევნო ნაკადებიც მიიღებენ. ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები შეისწავლიან სამხედრო საქმეს, უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებით და უფასო კვებით, მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში.

სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდი გულისხმობს ყოველ მესამე დღეს, 24-საათიან მორიგეობას. სამხედროები ასევე ისარგებლებენ მოკლევადიანი შვებულებით.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ წარჩინებული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები შესაბამისი კონკურსის გავლის შემთხვევაში, შსს-ს სხვადასხვა დანაყოფებში დასაქმდებიან.

*„ინტერპრესნიუსი“*

## პარლამენტთან სააკაშვილისა და ბაქრაძის ფიტულები დაწვეს



მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ წევრებმა, რომლებიც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ, პარლამენტთან მიხეილ სააკაშვილისა და დავით ბაქრაძის ფიტულები დაწვეს. აქციის მონაწილეებმა, ფიტულებთან ერთად, დაწვეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა და წინა ხელისუფლების პოლიტიკური თანამდებობის პირების ფოტოები.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



# გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლაში მეტ პლუსს ვხედავ, ვიდრე — მინუსს!“

*მე-5 გვერდიდან*

სახელმწიფო მხოლოდ ხელისუფლება არაა, ამიტომ თუ ბიძინა ივანიშვილი წავა, ამით სახელმწიფო არ დაინგრევა. საზოგადოებრივი სექტორი უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ყველა ხელისუფლება გარყვნილებისკენაა მიდრეკილი. თუ საზოგადოებაში ხელისუფლების კონტროლის რეალური, ფუნქციონალური მექანიზმი არ მოიძებნება, ეს ხელისუფლებაც საფრთხის წინაშე დადგება, რომ თავისივე წარმოშობილი სისტემის მსხვერპლი გახდეს. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ფეხზე დაყენება, რეალური ფუნქციის გააზრება და ხელისუფლების კონტროლზე აყვანა ძალიან დიდი ამოცანაა და ზუსტად ამაში აპირებს მონაწილეობას ივანიშვილი. პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისი დარჩენა იმის გარანტი ვერ გახდება, რომ ხელისუფლება არ გაირყვნეს და რეჟიმად არ ჩამოყალიბდეს, თუ ჩვენ კრიტიკის ქარცეცხლში არ გავატარებთ და ხელისუფლების კონტროლის რეალურ მექანიზმებს არ შევქმნით. უკვე დადგა დრო, რეალურად დავიწყოთ სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომლის ერთი მხარეა ხელისუფლება, მეორე — ძლიერი საზოგადოება, რომელმაც ხელისუფლება უნდა აიძულოს, სამართლიანი და კანონმორჩილი იყოს, საზოგადოებამ ხელისუფალს მსახურება უნდა ასწავლოს. გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი იმდენად მაღალია, რომ მთავრობის სხვა წევრებს პასუხისმგებლობის აღება, პრაქტიკულად, უჭირთ და მთლიანად ივანიშვილის გადაწყვეტილებებზე არიან დამოკიდებულები. მენეჯმენტის თვალსაზრისით, ასე სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია, ბიძინა ივანიშვილის დისტანცირება, მთავრობის წევრებსაც დაანახებს, რომ გადაწყვეტილებების მიღების უნარი განივითარონ.

**— ერთი კვირის წინ, ივანიშვილი ეკონომიკის ექსპერტებსაც შეხვდა, სადაც ღიად დააფიქსირა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული პრობლემებია. თქვენი აზრით, ეკონომიკური წინსვლა ამ ხელისუფლების სუსტ რგოლად რატომ იქცა?**

— ეკონომიკაში სწრაფი წარმატების მოპოვება შეუძლებელია, რადგან კეთილდღეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი და მძიმე ამოცანაა. გარდამავალ ეტაპზე, საკმაოდ სერიოზულ სისტემურ პრობლემებს წავაწყდით, რამაც ხელი შეგვიშალა, რეალური ენერგია შეგვეძინა საქართველოს ეკონომიკისთვის. სისტემური ცვლილება გარდაუვალი იყო, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში, ეკონომიკა მთლიანად ინტეგრირებული იყო ხელისუფლებაში, რომელიც ეკონომიკის დირექტორად გვევლინებოდა. საჭირო გახდა მონოპოლიების, ოლიგოპოლიებისა და კარტელური შეთანხმებების დაშლა, ამას დრო სჭირდებოდა, ნაჯახით ამას ვერ გავაკეთებდით, რადგან ქირურგიული ჩარევით, შესაძლებელი იყო, ქონების ხელმეორედ გადანაწილების პროცესი მიგვეღო. გარდა ამისა, რეალური, კონკურენტული გარემოს სივრცე უნდა გახსნილიყო და ეკონომიკას პოლიტიკური რისკები მოშორებოდა. ეკონომიკის ექსპერტებთან შეხვედრაზე, ბიძინა ივანიშვილმა თანადაფინანსების ფონდზე ისაუბრა და ვფიქრობ, კომერციულ საწყისებზე, ხელისუფლების მოკლევადიანი პარტნიორობა, თანაც რეალური თანადაფინანსებით, გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება, რათა სწრაფი ეკონომიკური განვითარება მივიღოთ და ბიზნესს ხელისუფლების ნდობა დაუბრუნდეს. პარადოქსია: დღეს ფულის პრობლემა კი არა, ნდობის პრობლემაა, რადგან იმდენჯერ მოატყუეს ბიზნესი, რომ მისი ნდობის აღდგენაც ხანგრძლივი პროცესია. როგორც პრემიერი ამბობს, ორ-სამ წელიწადში დავინახავთ ეკონომიკის განვითარების რეალურ შედეგებს.

**— ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა შეუძლებელია და ამას არც ველოდი, მაგრამ მთავრობის ეკონომიკური გუნდის ქმედით ნაბიჯებსაც ვერ ვხედავ, მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები გასატარებელია, მაგრამ პროცესი ჭიანურდება. თუნდაც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ავიღოთ, რომელიც გამზადებულია, მაგრამ ერთი წელია, პარლამენტში მის განხილვას ვერ ვეღირსეთ. ბატონო გია, როგორ ფიქრობთ, საკანონმდებლო ხარვეზები სერიოზულ პრობლემებს არ ქმნის?**

— ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით კითხვები მეც მაქვს. ეს კანონმდებლობა ჩვენი ინსტიტუტის ფარგლებში შევიმუშავეთ და ცხადია, მაინტერესებს. შეიძლება ითქვას, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ეკონომიკური განვითარების ცენტრალური ხერხემალია, რადგან ეკონომიკა მხოლოდ კონკურენტულ გარემოში ვითარდება. იმაშიც გეთანხმებით, რომ საკანონმდებლო და სხვა ტიპის ადმინისტრაციული ზომებია მისაღები, რათა შიდაბაზარი დავიცვათ და ადგილობრივ წარმოებას განვითარების საშუალება მივცეთ. იმედი მაქვს, მალე, პარლამენტი პოლიტიკური დებატებიდან ეკონომიკური მიმართულების საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე გადავა. სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა დღემდე ამის საშუალებას არ გვაძლევდა, მაგრამ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც პოლიტიკური ბატალიები და ქარიშხალი ჩაცხრება და პოლიტიკური ტემპერატურა დაიწევს, პარლამენტში ეკონომიკურ რეფორმებზე უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება.



## ნაციონალები ოქტომბერში დაგეგმილ პარტიულ ყრილობაზე სააკაშვილს უნდობლობას გამოუცხადებენ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა ეწურება, პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს, თუმცა მისი რეიტინგი საზოგადოებაში დაბალია. ცნობილია იმის შესახებაც, რომ სააკაშვილს თავისივე გუნდის წევრებმაც ზურგი შეაქციეს და ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი არსებობს.

ოქტომბერში დაგეგმილ ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე კი, ნაციონალების ნაწილი პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადებას აპირებს, ამის შესახებ ექსპერტებიც ღიად საუბრობენ. წყაროზე დაყრდნობით, ცნობილი ხდება, რომ სააკაშვილი არჩევნებამდე საქართველოს დატოვებს, რადგან მას არაერთხელ დაემუქრნენ დაჭერით.

***cci.ge***



## სასულიერო პირები ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან

თბილისის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის დავითის (დათუაშვილი) განცხადებით, საპატრიარქომ უკვე დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ID ბარათების მიმართ, თუმცა მიუხედავად ამისა, მთავრობას პოზიცია არ შეუცვლია და ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი მოწმობები არ შემოუღია.

**„საპატრიარქომ სთხოვა მთავრობას, რომ შესაძლებლობების ფარგლებში, ალტერნატიული საბუთები დაშვებულიყო“,** — განაცხადა დავით დათუაშვილმა.

თბილისისა და ქუთაისის იუსტიციის სახლებთან, პარალელურ რეჟიმში, ID ბარათის აკრძალვის მოთხოვნით აქცია — **„ID ბარათის აღებას სიკვდილი მირჩევნია“,** — გაიმართა. აქციაზე შეკრებილი მოქალაქეები საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს სპეციალური განცხადებით მიმართავენ და უწყებისგან ID ბარათების დამზადების ასაკრძალად 2-კვირიან ულტიმატუმს უყენებენ.

ამასთან, მომიტინგეები ID ბარათის იძულებით გაცემის შეჩერებასაც ითხოვენ და ხელისუფლებას მოუწოდებენ, უკიდურეს შემთხვევაში ID ბარათის აღება ნებაყოფლობითი იყოს. იუსტიციის სახლთან მიმდინარე საპროტესტო აქციას სასულიერო პირები, მრევლი და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ლევან ჩიჩუაც დაესწრნენ.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

## რუსული მაფიის „ნათლია“ „გოგი“ გარდაიცვალა

თბილისში, 88 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მოქმედ „კანონიერ ქურდთაგან“ უხუცესი გიორგი ჩიქოვანი გარდაიცვალა.

გიორგი ჩიქოვანი 1962 წლის 7 მაისს, თბილისში დაიბადა. პირველი სასჯელი — 15 წელი — 19 წლისამ ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის მიიღო. ამის შემდგომ, უკვე არაერთგზის ნასამართლევ „გოგისთან“ ბოლოს პოლიცია 2004 წლის 8 მაისს მივიდა. თბილისის პოლიციამ 79 წლის „კანონიერ ქურდთან“ სახლში იარაღის არსენალი აღმოაჩინა. საქართველოს მაშინდელმა შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ მაშინ განაცხადა, რომ „ჩიქოვანი დიდი რაოდენობით იარაღის შენახვისათვისაა დაკავებული“. მაშინ მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ჩიქოვანი არის „ბოსი ქურდულ სამყაროში“ და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი „ავტორიტეტია“ კრიმინალურ სამყაროში.

**„გიორგი ჩიქოვანი იყო რუსული მაფიის „ნათლია“ და სწორედ ის, ვისაც „ავტორიტეტულად“ შეეძლო ყველას შერიგება. მისი ავტორიტეტი უმწიკვლო იყო კრიმინალურ სამყაროში, მას იწვევდნენ, რათა განემუხტა ყველაზე რთული კონფლიქტები — როდესაც ქურდებმა არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, მაშინ „ძია გოგისთან" (ასე უწოდებდნენ მას „კოლეგები“ პატივისცემით) მიდიოდნენ“,** — წერს რუსული მედია.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

რუსუდან შელია
557-100-768

**სერგო ჯავახიძე 2004 წელს, ზურაბ ნოღაიდელის ფინანსთა მინისტრობის დროს, ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამმართველოს უფროსი იყო, შემდეგ ისანი-სამგორის საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელი გახდა, სადაც „ვარდების რევოლუციამდე“ ინსპექტორის თანამდებობა ეკავა. მოგვიანებით, საჯარო სამსახურიდან კერძო ბიზნესში გადაინაცვლა და საბაჟო ტერმინალ „ოპიზის“ დირექტორად დაინიშნა; 2006 წელს კი, ქრთამის აღების ბრალდებით, დააპატიმრეს და ციხეში წელიწადნახევარი გაატარა. სერგო ჯავახიძე, რომელიც პრეზიდენტობის ერთადერთი ნასამართლევი კანდიდატია, „ვერსიასთან“ დაკავების დეტალებს იხსენებს.**



# ვისზე და რა კომპრომატები აქვს პრეზიდენტობის ნასამართლევ კანდიდატ სერგო ჯავახიძეს

— 2006 წელს მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები მათთვის ჩვეული მეთოდებით გამისწორდნენ. მართალია, საბაჟო ტერმინალ „ოპიზის“ დირექტორი ვიყავი, მაგრამ ბრალი ქრთამის აღების, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტებისთვის წამიყენეს. არადა, ამ მუხლით მხოლოდ საჯარო პირებს ასამართლებენ. წარმოიდგინეთ, პროკურატურა იმდენად მოუმზადებელი იყო და ბრალი ისე შემითითხნა, რომ ისიც კი ვერ განსაზღვრა, როდის წამოვედი საჯარო სამსახურიდან... როგორც „ოპიზის“ დირექტორი საკმაოდ სერიოზულ ინფორმაციას ვფლობდი, რაც მაშინდელი ხელისუფლების ნაწილმა სახიფათოდ ჩათვალა.

**— მაინც რა სერიოზულ ინფორმაციას ფლობდით?**

— როგორც საბაჟო გამშვები პუნქტის დირექტორს, დეტალური ინფორმაცია მქონდა, რა ტვირთი შემოდიოდა ქვეყანაში და მის უკან რომელი მაღალჩინოსანი იდგა. საბაჟოზე შემოსული ტვირთი, ბუნებრივია, თანამდებობის პირებზე გაფორმებული არ იყო, მაგრამ ტვირთზე პასუხისმგებელი პირები კაბინეტში შემოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, ეს ტვირთი, რეალურად, თანამდებობის ამა და ამ პირს ეკუთვნის და სწრაფად განაბაჟეთო ანუ ვიცოდი, რომელი ფირმა რომელ სახელმწიფო მოხელეს ეკუთვნოდა, რაც საკმაოდ ღირებული ინფორმაციაა.

**— გამოდის, თანამდებობის პირების უკანონო ბიზნესინტერესებზე ინფორმაცია გქონდათ, თუმცა ხელს აფარებდით და თქვენს მიმართ წაყენებულ მოთხოვნებსაც პირნათლად ასრულებდით...**

— მაშინ „ოპიზის“ გენერალური დირექტორი ვიყავი და რატომ უნდა გამემჟღავნებინა, საბაჟოზე შემოსული ტვირთი, რეალურად, ვის ეკუთვნოდა? ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმეს ხელს ვაფარებდი, თანაც განბაჟება აბსოლუტურად კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა. პოლიტიკოსი რომ ვყოფილიყავი, ბუნებრივია, სიმართლეს გამოვააშკარავებდი, თუმცა მაშინ, ჩემს განცხადებას ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

**— დღეს პოლიტიკოსი და მეტიც, საპრეზიდენტო კანდიდატი ხართ. დაასახელეთ იმ ყოფილი მაღალჩინოსნების ვინაობა, რომლებზეც მინიშნებით საუბრობთ.**

— ნებისმიერ მაღალჩინოსანს, რომელიც მაშინ „ძლიერნი ამა ქვეყნისას“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ბიზნესში საკუთარი ინტერესები ჰქონდა. მაგალითად, გაიხსენეთ, რატომ გახდა დეფიციტური ქვეყანაში კბილის ჯაგრისები, სარეცხი საშუალებები, იოდიზირებული მარილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოდან წავიდა? სხვებიც ასეთები იყვნენ, მაშინდელი მინისტრებისთვის ბიზნესი ჩვეულებრივი ამბავი იყო. ძალიან ბევრი ინფორმაცია მქონდა და ახლაც ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ყველაფერს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გავამხელ — ამის დრო ჯერ არ დამდგარა. ჩემი დაკავების მიზეზი ის გახდა, რომ პირველი პირები საბაჟოს შემოსავლებითაც დაინტერესდნენ და ჩემი დაკავების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა — უმოკლეს ვადებში მეორე საბაჟო ტერმინალი გაიხსნა, რომლის უკან ფინანსური პოლიციის მაშინდელი უფროსი ვინმე ქარსელაძე და დავით კეზერაშვილი იდგნენ. სამწუხაროდ, კონკრეტულად ვერ ვამბობ, ვინ შეუკვეთა ჩემი დაკავება — კეზერაშვილმა თუ ვინმე სხვამ, მაგრამ ფაქტია, მაშინდელი მაღალჩინოსნების ინტერესებთან გადავიკვეთე და თავიდან მომიშორეს. დაკავებამდე „ოპიზის“ გადაფორმებასაც მთხოვდნენ, მაგრამ ბოლომდე ჩემს აზრზე დავრჩი და ვიდრე ციხეში ვიყავი, ჩემი წილი არავისთვის მიმიცია; მოგვიანებით, „ოპიზის“ სააქციო პაკეტი კოდუებმა და ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებულმა პირებმა იყიდეს.

**— თავიდან ითქვა, რომ შეკრებითობის პრინციპის მიხედვით, 30-წლიანი პატიმრობა გემუქრებოდათ, თუმცა ციხიდან წელიწადნახევარში გამოხვედით...**

— როგორც გითხარით, იმდენად არასერიოზული ბრალდებები წამიყენეს, რომ საქმეში თარიღებიც კი არ ემთხვეოდა. ჩემს წინააღმდეგ ერთ-ერთ მოწმეს, ვაჟა ჟორჟოლიანს ჩვენება 2006 წლის 22 მაისს ჩამოართვეს, სადაც იგი აცხადებდა, რომ გამოძიებასთან იმ პირობით ითანამშრომლებდა, თუ გირავნობით გაათავისუფლებდნენ. შეთანხმება შედგა და ვაჟა ჟორჟოლიანმა ჩემს წინააღმდეგ ჩვენებაც დაწერა, თუმცა დაახლოებით ექვს დღეში, მას შემდეგ, რაც ჟორჟოლიანმა საქართველო დატოვა, საქართველოს ფინანსური პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, დავით კეზერაშვილის სახელზე მეორე ჩვენება გამოგზავნა. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ჩვენებაში ჟორჟოლიანი დეტალურად ყვება, თუ რა პირობებში ჩამოართვეს ჩემს წინააღმდეგ ჩვენება და იმასაც ხაზგასმით ამბობს, რომ მე, სერგო ჯავახიძეს მაშინ არც კი მიცნობდა. ჟორჟოლიანის მონათხრობით, გამომძიებელი ვინმე ზურაბ ციხიშვილი ემუქრებოდა, თუ ჩემს წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა და არ იტყოდა, საჯარო სამსახურში მუშაობისას ჯავახიძის ბიზნესს ვლობირებდი და სანაცვლოდ, მისგან ქრთამს ვიღებდიო, ფეხმძიმე ცოლსა და ოჯახის დანარჩენ წევრებსაც მასთან ერთად დააპატიმრებდნენ. აღიარებითი ჩვენება სასამართლოში ოფიციალურად არსებობს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შემიძლია ვაჩვენო. საქმეში მითითებულია ჩემი და ვაჟა ჟორჟოლიანის ნომრებიც, თუმცა ვერავინ დაამტკიცა, რომ ვაჟას ჩემთვის ოდესმე დაურეკავს. გამომძიებელი, რომელიც საქმეს იძიებდა, ჩემი გათავისუფლებიდან ორ თვეში სამსახურიდან გაათავისუფლეს. როგორც ჩანს, „ზემოდან“ მიღებული დავალება პირნათლად ვერ შეასრულა.

**— თუ ძველ ხელისუფლებასთან შეთანხმება არ დაგიდიათ და არც ყოფილი მაღალჩინოსნების მოთხოვნებს დათანხმდით, ახალი ხელისუფლების პირობებში, თქვენი საქმის გადახედვას რატომ არ ითხოვთ?**

— მაშინ ქვეყანაში ჩემნაირი მსხვერპლი ბევრი იყო, დღეს კი სამართლიანობის აღდგენის იმედი ნაკლებად მაქვს. წარმოიდგინეთ, რიგითმა მოქალაქემ როგორ უნდა ისაუბროს უდანაშაულოდ დაკავებასა თუ საპროცესო შეთანხმებისთვის გადახდილი კოლოსალური თანხების გამო მაღალჩინოსნების დასჯაზე, როცა მე, საპრეზიდენტო კანდიდატს დღევანდელი პროკურატურის იმედი აბსოლუტურად არ მაქვს?! სახელმწიფო თავად უნდა ზრუნავდეს, რომ თუნდაც ის ადამიანები, რომლებიც ჩემი კუთვნილი წილის გადაფორმებას ითხოვდნენ, დღეს თავს ლაღად არ გრძნობდნენ.

**— ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ზურაბ ნოღაიდელის პარტიაში აღმოჩნდით და ნოღაიდელი პარტიის თავმჯდომარეობიდან გადააყენეთ. პარალელურად, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრული იყავით და ზურა ადეიშვილთან ახლო მეგობრული ურთიერთობები გქონდათ.**

— ზურა ადეიშვილს არ ვიცნობ — არასოდეს მინახავს. ციხიდან კი 7 ნოემბრის მოვლენებამდე ერთი თვით ადრე გამოვედი და პოლიტიკაში ამიტომაც მოვხვდი. ყველაფერ იმის შემდეგ, რაც გადამხდა, ჩუმად ვყოფილიყავი ან უკანონობის წინააღმდეგ არ მებრძოლა? — ამას ვერ შევძლებდი. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობასთან მეგობრობას, ყველამ კარგად იცის, ვინ ვისთან იყო, მე კი ყოველთვის ყველასგან დამოუკიდებელი ვიყავი. თუ, ვთქვათ, ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრული მართლაც ვიყავი, საინტერესოა, რატომ დევს დღემდე ჩემი საქმე სააღსრულებო ბიუროში? ისიც ითქვა, რომ თურმე, ეკა ზღულაძე ჩემს სახლში ხშირად დადიოდა, არადა, ამ ქალბატონს საერთოდ არ ვიცნობ. მართალია, დღეს ქვეყანაში პოლიტიკური გარემო შეიცვალა, მაგრამ სისტემური ცვლილებები არ განხორციელებულა და რეგიონებში საარჩევნო ხმებს დღემდე ძალისმიერი მოქმედებებით აგროვებენ.

**— ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები გაქვთ?**

— მოსახლეობას ეუბნებიან, ზამთრისთვის შეშას ან თივას ვერ მიიღებ, თუ არჩევნებში მხარს „ქართული ოცნების“ კანდიდატს არ დაუჭერო. იმას არ ვამბობ, რომ მსგავს დავალებას რეგიონულ აქტივს ცენტრალური ხელისუფლება აძლევს. უბრალოდ, „ოცნებაში“ დღეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წელიწადნახევრის წინ ნაციონალური მოძრაობის გასამარჯვებლად მსგავსი მეთოდებით იბრძოდნენ. ეს კარგად გამოჩნდა შუალედურ არჩევნებზეც, სადაც ნაძალადევის მაჟორიტარმა კანდიდატმა თამარ კორძაიამ 35% მიიღო, სამტრედიაში კოალიციის კანდიდატი კი 80%-ით აირჩიეს.

გიორგი მარგველაშვილის სისუსტე იმდენად თვალშისაცემია, დარწმუნებული ვარ, თავად კოალიციის წევრებს ეშინიათ, რომ არჩევნებს პირველ ტურში დამარცხდება; ამიტომ დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობის მეთოდებს გამოიყენებს. უამრავი მაგალითის დასახელება შემიძლია, თუმცა ჩემს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ჯერ უწყებათაშორის კომისიას გადავცემ და თუ მისი მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ იქნება, შემდეგ ფაქტებს საზოგადოებისთვისაც გავასაჯაროებ.

# აუცილებელია იცოდეთ, რას მიირთმევთ — მარნეულის სასურსათო ქარხნის მიერ წარმოებული ტომატ-პასტა 100%-ით ნატურალურია!

**ცნობილია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესი პირდაპირ კავშირშია სწორ კვებასთან, ამიტომ უპირატესობას ნატურალურ პროდუქციას ვანიჭებთ. პომიდორი კი ის ძირითადი პროდუქტია, რომელიც ჯანსაღ ცხოვრებაზე ფიქრის დროსაც კი გვახსენდება. შესაბამისად, უკვე დიდი ხანია, პომიდვრის სასარგებლო თვისებები მეცნიერების ინტერესისა და კვლევის საგნად იქცა. მეცნიერები, რომლებიც პომიდვრის სარგებელსა და მის გავლენას ჯანმრთელობაზე სწავლობენ, განმარტავენ, თუ როგორ იცავს ეს პროდუქტი სხეულს და რა სარგებელი მოაქვს მას. ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ ყურადღება უნდა მიაქციოთ პომიდვრის სარგებელს, თუ გსურთ, მისდიოთ ჯანსაღ ცხოვრებას.**

## პომიდვრის სასარგებლო თვისებები მეცნიერების კვლევის საგანია





მცირე ისტორიული ექსკურსი: პომიდორი 1500 წელს, სამხრეთ ამერიკაში აღმოაჩინეს — პირველად ესპანეთში და შემდეგ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც გავრცელდა და მთელ მსოფლიოში პოპულარულ საკვებად იქცა. დღეს პომიდორს სამოთხისა და სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევენ, რომელსაც ჯანმრთელობისთვის იდეალურ საკვებად აღიარებენ.

მეცნიერების მტკიცებით, პომიდორში ნამდვილი განძი – ლიკოპენი იმალება. ჯანმრთელობის თვალსაზრისით. პომიდორი უამრავ ვიტამინს შეიცავს, რომელიც ბუნებრივი ბოჭკოებითაც მდიდარია. ბოჭკოს შემცველი საკვების ხშირად მიღება კი ისეთი დაავადებებისგან გიცავთ, როგორებიცაა: ავთვისებიანი სიმსივნე, მაღალი ქოლესტერინი, სიმსუქნე მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუმცა ყველაფერთან ერთად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პომიდორში დამალულია სრულიად საოცარი განძი – ლიკოპენი, რომელსაც წითელ სასწაულსაც უწოდებენ. ლიკოპენი პომიდვრისა და მისგან წარმოებული ყველა პროდუქტის ჯადოსნური ძალაა!

ლიკოპენი პიგმენტია, რომელიც პომიდორს წითელ ფერს აძლევს. მიჩნეულია, რომ ლიკოპენი განსაკუთრებით იცავს დნმ-ს (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) და ეხმარება მას სერიოზული გართულებების მნიშვნელოვან პრევენციაში. ლიკოპენის დამცავი ასპექტი მნიშვნელოვანია სიცოცხლისთვის საშიში ისეთი დაავადებების წინააღმდეგ, როგორებიცაა: პროსტატის, სწორი ნაწლავის, მკერდისა და ყელის ავთვისებიანი სიმსივნე. აღმოჩნდა, რომ თერმული დამუშავების შემდეგ, პომიდვრის პროდუქტები ლიკოპენის გაცილებით მაღალ ოდენობას შეიცავენ, ნედლ პომიდორთან შედარებით. პომიდვრის გარდა, ლიკოპენს შეიცავს გარგრის ჩირი, ასკილის ნაყოფი, წითელი გრეიპფრუტი და ნესვი. რაც მთავარია, არაფერი არ არის ცნობილი ლიკოპენის გვერდითი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მდგომარეობა ნატრიუმის მიღებას მოითხოვს, უნდა გაითვალისწინოთ, რომ პომიდორთან ერთად მიღებული საკვები, ნატრიუმის მაღალი შემცველობით გამოირჩევა.

როგორც ირკვევა, თუ მომხმარებელი დარწმუნებულია, რომ პროდუქტი ნატურალურია, შანსი აქვს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღოს მისგან. მაგალითად, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიერ წარმოებული ტომატ-პასტა 100%-ით ნატურალური პროდუქციისგან მზადდება და რაც მთავარია, ნედლეული ქართულ მიწაზეა მოყვანილი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ თერმული დამუშავებისას, ლიკოპენის რაოდენობა გაცილებით მეტია; ამიტომ გაითვალისწინეთ ერთი რჩევა: აუცილებელია იცოდეთ, რას მიირთმევთ, ან რა სარგებელი შეიძლება მოგიტანოთ პროდუქტმა, რომელსაც მოიხმართ და ენდობით!

***მაია მიშელაძე***



# პარლამენტი ჟურნალისტებს 10-ათასლარიანი ჯარიმით ემუქრება!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

## ქართულ ენას ბრჭყალები გადაარჩენს?!

**„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, — ამბობდა ილია... ჰოდა, ქართველი კანონმდებლები, როგორც ჩანს, ამ პრინციპით მოქმედებენ და „დაცემული“ ბიუჯეტის „აღდგენას“ აპირებენ და თანამდებობის პირებსა და ჟურნალისტებს ჯარიმას უწესებენ. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ, განათლებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტმა ახალი ინიციატივის განხილვა დაიწყო. კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის გარდა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც უნდა შევიდეს.**

თუ თანამდებობის პირი, სახელმწიფო ენის არცოდნის მოტივით, განცხადების ან წერილობითი დოკუმენტის მიღებაზე უარს იტყვის, მისი ჯიბე 200-დან 500 ლარამდე ჯარიმით შემსუბუქდება, იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში კი, ჯარიმა 500-დან 1 500 ლარამდე გაიზრდება. ადმინისტრაციულ დარღვევად ჩაითვლება ფიზიკური პირისთვის, ენობრივი ნიშნით, განათლების არჩევის უფლების შეზღუდვა ან დისკრიმინაცია. ამ შემთხვევაში, ფიზიკური პირი 200-დან 500 ლარამდე, იურიდიული კი — 500-დან 1 500 ლარამდე დაჯარიმდება. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში, ფიზიკური პირის ჯარიმა 1 500 ლარამდე, იურიდიული პირისა კი — 3000 ლარამდე გაიზრდება.

ამავე კანონის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევა არც ჟურნალისტებს გვეპატიება: პირველი დარღვევა 1 000-დან 5 000-ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს, მეორე კი — 10 000 ლარს!

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სადაც დღენიადაგ ერთმანეთის გინებაში ამოსდით სული და ქართული ენის უცოდინარი არაერთი დეპუტატი გვიზის, ენის დამახინჯებისთვის, სლენგისა და ბარბარიზმების გამოყენებისთვის ან უცენზურო გამონათქვამებისთვის, კანონპროექტის მიხედვით, არავინ დაჯარიმდება. სხვათა შორის, აკაკი შანიძის შემდეგ, ქართული გრამატიკის ნორმები აღარავის გადაუხედავს — ენა ისე გათანამედროვდა, ბარბარიზმი მშობლიური სიტყვისგან აღარ გაირჩევა და თავად ენათმეცნიერები დავობენ, მაგალითად, სიტყვა „სოსისი“ ხმარებაში დავტოვოთ თუ მის ნაცვლად ქართული შესატყვისი „მოწოწნიკი“ დავამკვიდროთ ან იქნებ, „ჰალსტუხიან“ დეპუტატებს „ყლინჯიანები“ უნდა ვეძახოთ, რათა ენის ინსპექტორმა 10 000 ლარით არ დაგვაჯარიმოს?!

ჩნდება ლოგიკური კითხვები: ეს ენის დაცვაა თუ შენიღბული ცენზურა? ზღუდავს თუ არა ზემოხსენებული კანონპროექტი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას? ამ ნაბიჯით ჩავარდნილ ბიუჯეტის შევსებას ხომ არ ცდილობენ და რატომ არ სურთ დეპუტატებს საკუთარი შეცდომების გამო პასუხისგება?!

როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, ენის გადარჩენისადმი მიძღვნილ ისტორიულ სხდომას ოცნება-ნაციონალების შემადგენლობა თანაბრად ესწრებოდა. სხდომაზე საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს, სხდომის დასრულების შემდეგ კი, ნაციონალმა **სერგო რატიანმა** ჟურნალისტების დაცვა გადაწყვიტა და განაცხადა: **„ენის ინსპექცია კიდევ ერთი ბიუროკრატიული მანქანაა, რომელიც, შესაძლოა, კორუფციის წყარო გახდეს. თანამდებობის პირზე მხოლოდ ის წერია, რომ თუ ქართულ ენაზე დაწერილ განცხადებას ენის არცოდნის გამო არ მიიღებს, ამ შემთხვევაში დაჯარიმდება. არასწორად საუბარი თანამდებობის პირს შეუძლია, ჟურნალისტს კი — არა“.**

ხომ არაა ზემოხსენებლი კანონპროექტი ზოგისთვის, ვთქვათ, არაქართველი მოსახლეობისთვის დისკრიმინაციულია? — ამ კითხვით „ვერსიამ“ „ოცნების“ წარმომადგენელს, ისნის მაჟორიტარს **ალექსანდრე ქანთარიას** მიმართა:

— ეს რეგულაციები არჩევით თანამდებობებს, რა თქმა უნდა, არ შეეხება. ყველა ქვეყნის გამოცდილებას გადავხედეთ და ეს კანონი ბევრგან — უკრაინაში, სომხეთში, ბალტიისპირეთსა და საფრანგეთში აპრობირებულია. რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობ და თანამდებობა გიკავია, მისი სახელმწიფო ენაც უნდა იცოდე! აჟიოტაჟის ასატეხი არაფერია, ეს ნორმა კოდექსშიც დევს, კონსტიტუციაშიც და მაღალი თანამდებობის პირებს ეხება.

— **საინტერესოა, რომელი ქვეყნის გამოცდილებიდან აიღეთ, მაგალითად, 10 000 ლარი, რომლითაც მედიის წარმომადგენლები უნდა დაჯარიმდნენ?**

— ეს ნიხრები და ბევრი სხვა რამ გადასასინჯია... ჯერჯერობით, რაც ინიციატივაში წერია, პირობითია. უბრალოდ, კანონპროექტის ინიცირება მოხდა. ჯარიმის თანხა შემცირდება, პრობლემა არაა, მთავარია, ქართული ენა არ წარწყდეს, არ დამახინჯდეს და ენის დაცვაზე ვიზრუნოთ! რაც შეეხება სერგო რატიანის ინტრიგებსა და განცხადებებს, თითქოს ჟურნალისტებს მიზანმიმართულად ვაჯარიმებთ, სისულელე და ბოდვაა! მსგავსი არაფერი ხდება — არც ტელემაუწყებლობები დაჯარიმდებიან, არც საავტორო გადაცემების ავტორები. უბრალოდ, სარედაქციო პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ ჟურნალისტები ენის ნორმებს იცავდნენ.

— **ენაში ბევრი ნორმა დავის საგანია, გარდა ამისა, ხანდახან მედიის წარმომადგენლები ბარბარიზმებსა და სლენგს სპეციალურად ვიყენებთ... ეს რეგულაციები, თუ ამ ფორმით დარჩება, სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლად ხომ არ აღიქმება?**

— სტატია საავტოროა და შეგიძლიათ ისე დაწეროთ, როგორც გინდათ — ჩასვამ სიტყვას ბრჭყალში და პრობლემა მოხსნილია. ეს ინდივიდუალური სტილია და ყველას ესმის, რომ ხანდახან, ჟარგონით უფრო მეტის გადმოცემაა შესაძლებელი. ამაზე საუბარი არ არის. საქმე ეხება ოფიციალურ დოკუმენტაციას, აბრებს, სპეციალურ განცხადებებს.

— **გაუგებარია, რატომ არ ეხება კანონი 150 დეპუტატს, რომელიც საჯარო პირია, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან იგინება და ერთ საჯარო გამოსვლაში მილიონ შეცდომას უშვებს?**

— საჯარო გამოსვლებს ხომ ვერ ავკრძალავთ? — ვინც როგორც იცის, ისე ლაპარაკობს. ეს კანონი სადამსჯელო კი არ იქნება, რომ ავდგეთ და გარშემო ყველა დავაჯარიმოთ ან ვაიძულოთ, აბა, „დავაი“, სწავლა „აი, ია“-დან დაიწყეო და „დედა ენით“ ვატაროთ წინ და უკან, ან სკოლაში თავიდან ხომ არ შევიყვანთ?! მით უმეტეს, ეს კანონი ახლა კი არაა დაწერილი, მასზე მსჯელობა 1995 წლიდან დაიწყო და ახლა ხელახლა წამოვწიეთ. სახელმწიფო ენას კანონი უნდა იცავდეს, ეს აუცილებელია!

— **ენის დამცველის რანგში ენის ინსპექცია უნდა მოგვევლინოს — ვინ დააკომპლექტებს ამ ინსპექციას ან კონტროლის რა მექანიზმი გექნებათ?**

— ენის ინსპექცია ლიტვაშიც არსებობს. არის ვარაუდი, შეიქმნას მსგავსი ორგანიზაცია, რომელსაც, შესაძლოა, ბიურო დაერქვას. იგი კონტროლს გაუწევს აბრებსა და სარეკლამო ბანერებზე გამოქვეყნებულ სიტყვებს. ამ ორგანიზაციაში პროფესიონალი ენათმეცნიერები შევლენ. არის აზრი, რომ იგი, სტრუქტურულად, პარლამენტთან არსებული იყოს, მაგრამ ალბათ, უფრო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ან პრემიერის აპარატთან იქნება მიბმული, თუმცა ჯერ განხილვები არ დაწყებულა და უახლოეს მომავალში არც დაიწყება. ამ თემის აჟიტირება ზოგიერთმა ნაციონალმა სპეციალურად დაიწყო — ოღონდ თავი გამოეჩინა და სადღაც თავი გამოეყო. სერგო რატიანმა კანონს ხმა კი მისცა, მაგრამ სხდომიდან გამოვიდა და აყვირდა, ნახეთ, ჟურნალისტებს გაჯარიმებენო!



„ივანიშვილი vs ექსპერტები“, — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა Eurasianet მოლი კორსოს სტატიას საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ექსპერტებთან შეხვედრის შესახებ.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, არჩევნების წინ, პრემიერ-მინისტრმა ოთხი საათი დაუთმო ტელევიზიით პოლიტიკური ანალიტიკოსების გაკიცხვას, რადგან ისინი „სათანადოდ ვერ აფასებდნენ“ მისი მთავრობის მიღწეულ წარმატებას.

მოლი კორსო, ასევე წერს, რომ თერთმეტმა ქართველმა პოლიტანალიტიკოსმა აშკარად გააღიზიანა პრემიერ-მინისტრი თავისი „არასწორი“ მოსაზრებებით დაწყებული ეკონომიკიდან, დამთავრებული ივანიშვილის ახალბედა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო მუშაობის განხილვით.

**„იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ყურადღებით ადევნებს იგი თვალს ანალიტიკოსებს, ივანიშვილმა გაზეთები მოიშველია და გამოქვეყნებული ინტერვიუებიდან ციტირებდა ექსპერტთა გამონათქვამებს. საბჭოთა ეპოქის „კრიტიკისა და თვითკრიტიკის“ სესიის მონაწილის მსგავსად, ივანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა უფრო მეტად უნდა გაფილტრონ თავიანთი კომენტარები“,** — წერს მოლი კორსო.

## გაფრთხილება პრემიერს: „ანალიტიკოსებზე თავდასხმა იგივეა, რაც საკუთარ დესპანს ესროლო!“


EURASIANET.org
EDITOR & PUBLISHER EPPY AWARD WINNER
MAIN | REGIONS | HOT TOPICS | MULTIMEDIA | VOICES | FEATURES | ABOUT
LATEST VOICES
Uzbekistan Ups Cotton Sales to Asia, Bypassing Boycott
Choihona
Kyrgyzstan Photo: Georgian Soldiers Transit to Afghanistan
The Focal Plane
TAMADA TALES
A daily feast of news from the South Caucasus
Like 29 | Tweet 9 | E-Mail | Print version
Georgia: Ivanishvili Versus the Experts
September 26, 2013 - 10:39am, by Molly Corso | Tamada Tales | Georgia Elections

სტატიის ავტორი, ასევე წერს, რომ შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემა ექსპერტების მიერ იმის განხილვა გამოდგა, თუ რა გეგმები აქვს ივანიშვილს პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ. განცხადებებს კი იმის შესახებ, რომ მისმა წასვლამ, შესაძლოა, პრობლემები გამოიწვის, შეხვედრაზე სისულელედ მიიჩნიეს.

როგორც სტატიის ავტორი წერს, შეხვედრისას ივანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მომავალი პრემიერის როლზე სამ კანდიდატს განიხილავს, თუმცა საბოლოო კანდიდატის ვინაობას 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იტყვის.

**„ივანიშვილს, ალბათ, უნდა აღელვებდეს ის ფაქტი, რომ როგორც NDI-ის გამოკვლევებმა უჩვენა, ივანიშვილის გადადგომა, სავარაუდოდ, აიძულებს ამომრჩეველს, ხმა „ქართული ოცნების” კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ მისცეს. მართალია, კვლევების მიხედვით, კოალიციის ამ კანდიდატს ათპროცენტიანი უპირატესობა აქვს მთავარ კონკურენტ დავით ბაქრაძესთან, მაგრამ იგივე კვლევები უჩვენებს, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდაჭერა უფრო მატულობს“,** — წერს მოლი კორსო.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ექსპერტებთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გაბრაზება, ძირითადად, ყოფილი ხელისუფლებისდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძემ და თავისავე მხარდამჭერმა მამუკა არეშიძემ გამოიწვიეს, რომელიც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო კანდიდატი იყო.

მოლო კორსო წერს, რომ სერგი კაპანაძემ შეხვედრას, რომელიც შუშის მინიმალისტურ ოთახში გაიმართა, რომლის კუთხესაც როი ლიხტენშტეინის ტილო ამშვენებს, „საინტერესო და უცნაური შეხვედრა უწოდა“.

**„სპეციალისტები აფრთხილებენ პრემიერ-მინისტრს, რომ ანალიტიკოსებზე თავდასხმა, საზოგადოებრივი სენტიმენტების მოპოვების მიზნით, იგივეა, რაც საკუთარ დესპანს ესროლო, თუმცა პრემიერ-მინისტრს საკუთარი მოსაზრება აქვს. მისი თქმით, პრობლემა არა პიარის სისუსტეშია, როგორც ეს პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ აღნიშნა, არამედ პრობლემა ისაა, რომ ანალიტიკოსებს ინფორმაცია არ გააჩნიათ“,** — წერს მოლი კორსო.

***„ინტერპრესნიუსი“***

ექსპერტი

# ჩინური ინტრიგა რუსეთისთვის




## ცენტრალურ აზიაში ახალი საექსპორტო მარშრუტების ირგვლივ ერთიანდებიან

ზურა გამრეკელი

**შაჰ-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ 2013 წლის 28 ივნისს ჩატარებულ ტენდერში „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ („ტაპ“) გამარჯვების შემდეგ, ბევრი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ კასპიისპირეთის გაზი ევროპის ბაზარზე მალე შევა, რაც ამ ბაზარზე „გაზპრომის“ 35-წლიანი მონოპოლიისთვის სერიოზული საფრთხეა... მოვლენები ნავარაუდევზე სწრაფად ვითარდება...**

### აზერბაიჯანულ გაზზე დიდი მოთხოვნილებაა

20 სექტემბერს აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის კონსორციუმმა, რომელსაც ბრიტანული ენერგოგიგანტი „ბი-პი“ უდგას სათავეში, ევროპის გაზგამანაწილებელ კომპანიებთან 100 მლრდ დოლარზე მეტი ღირებულების 25-წლიანი მიწოდების კონტრაქტები გააფორმა. „ბი-პი“-დან მიღებული ინფორმაციით, 2019 წლიდან ცხრა ევროპულ კომპანიას - Enel SpA, EON SE, GDF Suez SA, Axpo Trading AG, Bulgargaz EAD, Depa, Gas Natural Fenosa, Hera Trading Srl და Shell Energy Europe-ს ყოველწლიურად 10 მლრდ კუბმეტრი აზერბაიჯანული გაზი გაეგზავნება. გაზის მიწოდების ასეთ მოცულობაზე კონტრაქტების გაფორმებას დიდი მნიშვნელობა აქვს წლის ბოლოსთვის დაგეგმილ „შაჰ-დენიზი 2“-ის „საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილების“ მიღებაში. კონტრაქტების თანახმად, დაახლოებით, ორი მლრდ კუბმეტრი გაზი ყოველწლიურად უნდა მიეწოდოს ბულგარეთსა და საბერძნეთს, რვა მლრდ კუბმეტრი აირი კი იტალიასა და მის ჩრდილოეთით მდებარე ევროპულ გაზის „ჰაბებში“ გაიგზავნება. აზერბაიჯანის ამგვარი წარმატება ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვისაც კარგი სტიმულია.

### ცენტრალური აზიის ნახშირწყალბადები ისევ რუსეთში მიედინება

ნახშირწყალბადებით მდიდარი ორი ცენტრალურაზიური ქვეყანა – თურქმენეთი და ყაზახეთი — ცდილობს დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვებას, რათა მსოფლიო ბაზარზე გაზი და ნავთობი, რუსეთის გვერდის ავლით, აზერბაიჯანსა და საქართველოზე ტრანზიტით გაიტანონ.

რუსეთი დიდი ხანია ცდილობს „ტრანსკასპიური გაზსადენის“ დაბლოკვას, მათ შორის, ძალისმიერი მეთოდით – წითელდროშოვანი კასპიის სამხედრო ფლოტილიის გაძლიერებით. მოსკოვი კასპიაზე სამხედრო ყოფნას კასპიის სტატუსის გაურკვევლობით და ვითომ გამწვავებული ეკოლოგიური მდგომარეობით ამართლებს. ამის გამო, თურქმენეთმა „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის განხილვა დროებით შეაჩერა და თხევადი გაზის ტანკერებით, თურქმენბაში-ბაქოს მარშრუტით, ექსპორტის პროექტის განხორციელებას შეუდგა, ყაზახეთმა კი სპარსეთის ყურისკენ ჩრილოეთ–სამხრეთის რკინიგზის მშენებლობა დაიწყო.

ყაზახეთსა და თურქმენეთს რუსეთთან ოფიციალურად კარგი ურთიერთობა აქვთ: ყაზახეთი საბაჟო კავშირშია და ევრაზიული კავშირის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად მიიჩნევა; თურქმენეთი კი თავს ნეიტრალურ ქვეყნად წარმოაჩენს, რაც იმთავითვე, რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობას გულისხმობს, მაგრამ მოსკოვის მცდელობამ, ცენტრალურაზიური ნავთობი და გაზი დასავლეთისკენ ექსკლუზიურად თავისი ტერიტორიით გაეტარებინა, ეს ქვეყნები აიძულა, გააძლიერონ კასპიაზე სამხედრო-საზღვაო ფლოტები. ასევე გამონახონ დასავლეთსა და ჩინეთთან თანამშრომლობის გზები.

### თურქმენეთის ინტერესები

აშხაბადში არაერთხელ განუცხადებიათ, რომ თურქმენეთს, როგორც ნეიტრალურ ქვეყანას, არ აქვს სურვილი, დაუპირისპირდეს მოსკოვს, თეირანს ან რომელიმე სხვა მეზობელს. მხოლოდ 2004 წლიდან, კასპიის სტატუსზე რუსეთისა და ირანის პოზიციების გამკაცრების, მათ მიერ სსრკ-ირანის 1921 და 1940 წლების ხელშეკრულებების შესრულების მოთხოვნის შემდეგ, როგორც ასტანამ, ასევე აშხაბადმაც დასავლეთისკენ დაიწყო ყურება და კასპიაზე სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობის გეგმები გაახმოვანა.

თავისი ფლოტის გასაძლიერებლად თურქმენეთმა უკრაინასა და ირანში რამდენიმე სამხედრო ხომალდი შეიძინა. ამავდროულად, ქვეყანამ სამხრეთკორეულ კომპანიებთან გააფორმა კონტრაქტი გემთმშენებელი ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობების ყიდვაზე. ამ დროიდან გააქტიურდა თურქმენული დიპლომატია ნატო-სა და აშშ-ს მიმართულებითაც, იმ მიზნით, რომ ცენტრალურაზიური გაზისა და ნავთობის დასავლეთით ტრანსპორტირების შემთხვევაში, აუცილებელი იქნება ბრიუსელისა და ვაშინგტონის პოლიტიკური მხარდაჭერა. ამ ძალისხმევამ საჭირო შედეგი გამოიღო, ვინაიდან დასავლეთშიც მიაჩნიათ, რომ ცენტრალურაზიური ნახშირწყალბადების რუსეთის გვერდის ავლით იმპორტი დასავლეთის ენერგობაზრებზე მოსკოვის მონოპოლიურ დიქტატს შეზღუდავს. ამ მიზნის მისაღწევად ისინი, რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში, არაერთხელ შეპირდნენ თურქმენეთსა და ყაზახეთს გეოპოლიტიკურ მხარდაჭერას.

სავარაუდოდ, მხარდაჭერის გაძლიერება მალე იქნება აუცილებელი. გასულ ზაფხულს შაჰ-დენიზის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების ტენდერში „ნაბუქოს“ „ტაპთან“ დამარცხების შემდეგ, თურქმენეთ-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი, კასპიის ფსკერზე დაპროექტებული „ტრანსკასპიური გაზსადენის“ აგების ალბათობა შემცირდა. ამ გაზსადენის აშენებისადმი მოსკოვის ანტაგონიზმი, ბოლო დროს, აშხაბადისადმი პირდაპირ სამხედრო მუქარაში გადაიზარდა და ღიად გაცხადდა, რომ გაზსადენის გაყვანის შემთხვევაში, რუსეთი კასპიაზე ომს დაიწყებს.

მოსკოვში „ტრსანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის წინააღმდეგ პროპაგანდისტულ თავდასხმებსაც აძლიერებენ. კერძოდ, კრემლისადმი ლოიალურად განწყობილმა საიტმა „რეგნუმმა“ განაცხადა, რომ თურქმენეთის ხელისუფლებას დასავლეთის სახელმწიფოები მართავს. „რეგნუმმა“ ხაზი გაუსვა, რომ „ნაბუქოს“ წარუმატებლობის მიუხედავად, ამ პროექტის განხორციელების იდეა „კვლავ ცოცხალია და აზერბაიჯანზე ზეწოლა ხორციელდება, რათა მან გაზსადენის აგების შეთანხმება თურქმენეთთან გააფორმოს“. სავარაუდოდ, იგულისხმება ევროკომისიის პრიორიტეტული პროექტების სია, სადაც „ტაპთან“ ტენდერში დამარცხების მიუხედავად, კვლავ მოიხსენიება ნაბუქო-უესტის პროექტი.

რუსეთის მზარდი წნეხის მიუხედავად, თურქმენეთში განაგრძობენ დასავლეთისკენ გაზის ექსპორტის მარშრუტებზე მუშაობას. საუბარია კასპიამდე „აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის“ მშენებლობასა და კასპიის ზღვის ნაპირზე, ქალაქ თურქმენბაშისთან თურქული კომპანიების დახმარებით, ახალი პორტის აგებაზე. ამ პორტის დანიშნულება, სხვადასხვა საქონლით ვაჭრობასთან ერთად, თხევადი გაზის ტრანსპორტირებაც იქნება.

გაზის ექსპორტის დასავლეთის მარშრუტი განსაკუთრებით აქტუალურია ენერგეტიკის ევროკომისრის, გიუნტერ ეტინგერის რუსული „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის პროექტის საწინააღმდეგო ბოლოდროინდელი მკვეთრი განცხადებების ფონზე. ამ გაზსადენის ერთ-ერთ შემავსებლად მოსკოვში ცენტრალური აზიის საბადოები იყო მიჩნეული. სექტემბრის ბოლოს, ვენაში გამართულ ევროკავშირის ენერგეტიკის მინისტერიალზე, ევროკომისარმა ხაზგასმით მიუთითა, რომ „სამხრეთის ნაკადი“ ვერ უზრუნველყოფს კონკურენციას ენერგიის ახალი წყაროებისადმი ხელწვდომით და ამიტომ ვერ აკმაყოფილებს „საერთოევროპული ინტერესის პროექტის“ სტატუსის მისაღებ კრიტერიუმებს.

*დასასრული მე-11 გვერდზე*

*მე-10 გვერდიდან*

თურქმენული პროექტების თურქეთის მხარდაჭერა განპირობებულია დიდი სურვილით, რომ მიიზიდოს აშხაბადანკარას ინიცირებულ „თურქულენოვანი ქვეყნების საბჭოს“ ორბიტაში, რაც რუსეთის ევრაზიული კავშირის „საპირწონედაა“ ჩაფიქრებული.

## ყაზახეთ-თურქმენეთის თანამშრომლობა

ყაზახეთი, რომელიც ზემოაღნიშნული „თურქულენოვანი საბჭოს“ წევრია, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერს ქალაქ თურქმენბაშიში საზღვაო ტერმინალის მშენებლობას იმ მარტივი მიზეზით, რომ მომავალში, რუსეთის გვერდის ავლით, დასავლეთისკენ ყაზახური ნავთობისა და გაზის ექსპორტისთვის გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ თურქმენეთსა და ყაზახეთს მსგავსი ინტერესები და პრობლემები აქვთ, მათი დაახლოება დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო; კერძოდ, 2013 წლის მაისში თურქმენეთის პრეზიდენტი გურბანგული ბერდიმუხამედოვი ყაზახეთში ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფორმალური მიზეზი ჩრდილოეთ-სამხრეთის რკინიგზის ყაზახეთ-თურქმენეთის მონაკვეთის გახსნა იყო, რეალურად კი, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე დაიწყო საუბარი.

სავარაუდოდ, გააორმაგებს ჩინეთის ამჟამინდელ გავლენას რეგიონზე. კერძოდ, ყაზახეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში, ფაქტობრივად, არსებული ჩინური ინვესტიციები შეფასებულია 30 მლრდ დოლარად, ხოლო ხელმოწერილი კონტრაქტების საერთო ღირებულება 51 მლრდ დოლარია. შეთანხმებები, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ენერგეტიკას, თანამედროვე ტექნოლოგიებს ეხება. მათ შორისაა, მაგალითად, უზბეკეთში 455 მლნ დოლარის ღირებულების სტრატეგიული სარკინიგზო გვირაბის აშენება, თურქმენეთ-ჩინეთის გაზსადენში ახალი, D მილის დამატება, ყაზახეთის „კაშაგაბის“ საბადოში წილის შესყიდვა. სპეციალისტების აზრით, ამ ქვეყნებთან თანამშრომლობა ჩინეთმა უკვე თანამედროვე ტექნოლოგიების სექტორშიც დაიწყო. კერძოდ, პეკინმა თითქმის 8 მლრდ დოლარის საკრედიტო შეთანხმებას მოაწერა ხელი ყაზახეთთან „ბაიტარეკის“ პროექტის მხარდასაჭერად. ესაა ყაზახეთის ახალი ინსტიტუცია, რომელიც ხელს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა და ეკონომიკის მოდერნიზაციას შეუწყობს.

ამასთან, ამ კონკრეტულ შეთანხმებებთან ერთად, პრეზიდენტმა სიმ რეგიონის მიმართ ჩინეთის ახალი სტრატეგია წარმოადგინა და მას „დიდი აბრეშუმის გზის ეკონომიკური დერეფანი“ უწოდა. ეს ნიშნავს ეკონომიკურ თანამშრომლობას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნას, ვაჭრობის ზრდასა და სავაჭრო ბარიერების გაუქმებას, ურთიერთვაჭრობაში ეროვნული ვალუტების როლის გაზრდას. პრეზიდენტი სი რეგინში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის ინიციატივითაც გამოვიდა. ამ ეკონომიკურ ინიციატივებს ჩინეთის ლიდერმა ასევე კულტურულ და სოციალურ სფეროებში თანამშრომლობის წინადადებები დაუმატა (მაგალითად, „შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წევრი ქვეყნების 30 ათასი სტუდენტის სწავლება ჩინეთში), რაც პეკინის აზრით, რეგიონში არსებულ ანტიჩინურ განწყობას შეარბილებს.



ახალი რკინიგზა ამ თანამშრომლობის საფუძველია, მაგრამ მისი უმთავრესი ფასეულობა ისაა, რომ ეს ხაზი ირანის სამხრეთამდე და სპარსეთის ყურემდე გადაჭიმული კომუნიკაციაა. ასტანაში უკვე აღნიშნეს, რომ რკინიგზის უმთავრესი დანიშნულება, მარცვლეულის ტრანსპორტირებასთან ერთად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტია. სავარაუდოდ, ყაზახეთი ახალ რკინიგზას განიხილავს, როგორც თავისი ნახშირწყალბადების მსოფლიო ბაზარზე გატანის რუსეთის გვერდისამქცევ მარშრუტს; ამიტომაა, რომ სწორედ ასტანამ გამოყო ამ სარკინიგზო პროექტის ინვესტიციების თითქმის 80%. ამდენად, ის თურქმენეთს განიხილავს, არამხოლოდ სტრატეგიულ მოკავშირეს, არამედ როგორც თავისი ნახშირწყალბადების სატრანზიტო მარშრუტსაც. მართალია, ზემოაღნიშნულ გეოპოლიტიკურ მანევრებს, ჯერჯერობით, გამოკვეთილი, პრაგმატული ტენდენციის სახე არ მიუღია, მაგრამ მზარდი ძალისხმევა ადასტურებს, რომ ყაზახეთი და თურქმენეთი რუსეთისგან თავის დაღწევის სანაცვლოდ, შესაძლოა, მეორე გიგანტის – ჩინეთის კაბალის ქვეშ მოექცნენ.

## „კუნთების ჩინური დემონსტრაცია“ ცენტრალურ აზიაში

3-13 სექტემბერს ჩინეთის ახლადარჩეული პრეზიდენტი სი ძინპინი ცენტრალურ აზიას სტუმრობდა და თურქმენეთის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ლიდერები მოინახულა, ასევე მონაწილეობა მიიღო „შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტში. რამდენიმე ეკონომიკური შეთანხმების გაფორმების მიუხედავად, ექსპერტებმა ეს ტური ჩინეთის ძალის დემონსტრირებად მიიჩნიეს.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტ სის რეგიონში ვიზიტი გააღრმავებს ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩინეთთან ინტეგრაციას ინფრასტრუქტურის, ვაჭრობისა და ფინანსების, ენერგეტიკის სფეროებში, თუმცა ზოგიერთ დარგში ცენტრალური აზიის ქვეყნების განვითარების დონე იმდენად დაბალია, რომ ჩინეთთან მათი ურთიერთობა მხოლოდ ნეოკოლონიალური „სპონსორობის“ ფორმებს იღებს და ურთიერთხელსაყრელ ინვესტირებასთან საერთო არაფერი აქვს. სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩინეთმა თავი აარიდა რუსეთთან კონკურენციას ცენტრალურ აზიაში, მაგრამ თავისი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, მოსკოვზე პოლიტიკური უპირატესობის მიღწევა შეძლო.

## ჩინეთ-ცენტრალური აზიის ეკონომიკური განზომილება

პეკინის მიერ რეგიონში განხორციელებული ინვესტიციებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ხელმოწერილი შეთანხმებების სია შთამბეჭდავია და მათი იმპლემენტაცია,

ჩინეთის ლიდერის ვიზიტის ფარგლებში, რამდენიმე ისეთი ენერგოშეთანხმება გაფორმდა, რაც მხოლოდ რუსეთისთვის კი არა, დასავლეთისთვისაც არ უნდა იყოს მისაღები. კერძოდ, პეკინმა ყაზახეთის უდიდესი საბადოს, „კაშაგანის“ ნავთობპროექტში 8.33%-ის დაუფლება შეძლო, საიდანაც ნავთობის დასავლეთისკენ ტრანსპორტირება აზერბაიჯან-საქართველოს გავლით იგეგმებოდა. ამ ნავთობის ჩინეთში შესაძლო ექსპორტთან ერთად, მიღწეული შეთანხმებებით, იგეგმება არსებული თურქმენეთ-ჩინეთის დამაკავშირებელი „ტრანსაზიური გაზსადენის“ პარალელური, 30 მლრდ კუბმეტრი წლიური წარმადობის ე.წ. D მილის აგება, რომელიც „ტრანსაზიური გაზსადენის“ მსგავსად, გაივლის თურქმენეთისა და უზბეკეთის ტერიტორიებს, შემდეგ გადავა ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში, საიდანაც ჩინეთში შევა. სამაგიეროდ, ჩინეთი თურქმენეთში მსოფლიოში სიდიდით მეორე საბადოს – „გალკინიშის“ მეორე ფაზის ათვისების დაწყების ვალდებულებას იღებს. ამ გიგანტური გაზის საბადოს დე ფაქტო დაუფლება თურქმენეთის ექსპორტის დივერსიფიკაციის მცდელობის დასრულებას ნიშნავს. ამით ჩინეთი თურქმენეთში რუსეთს ჩაანაცვლებს. მეტიც, „D“ მილის ტაჯიკეთ-ყირგიზეთის მიმართულებით აგებით, ჩინეთი რეგიონის ქვეყნებისავე პროექტებით, მათ თავის ხელში ინტეგრაციას მოახდენს.

ამრიგად, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობით ჩინეთმა გარდაქმნა ცენტრალური აზიის რეგიონი თავის სარესურსო ბაზად. შედეგად, ექსპერტების უმრავლესობა ეჭვგარეშე მიიჩნევს, რომ რეგიონის ქვეყნების მჭიდრო ეკონომიკური და ენერგეტიკული კავშირები, სავარაუდოდ, აღმოსავლეთის მიმართულებით მეტად განვითარდება. ეს ტენდენცია ასევე წინ აღუდგება ევროპაში ცენტრალური აზიის ნახშირწყალბადების ექსპორტის აშშ–ს გეგმებს. სტრატეგიული თვალსაზრისით, რეგიონის დინამიური და ფართომასშტაბიანი ეკონომიკური თანამშრომლობა ჩინეთთან წარმოქმნის ამ ქვეყნების ჩინეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენის ქვეშ მოქცევის რისკს. ეს ტენდენცია რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებსაც ეწინააღმდეგება, რომელიც რეგიონს თავისი ექსკლუზიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს.



## ირაკლი ღარიბაშვილი ბელორუს კოლეგას შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბელორუსში ვიზიტის ფარგლებში, ბელორუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, იგორ შუნევიჩს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, მათ შორის, არალეგალურ მიგრაციასთან, ნარკოდანაშაულსა და ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები განიხილეს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თემატური მუშა ჯგუფების ფორმატში პრობლემურ საკითხებს ერთობლივად განიხილავენ. სამომავლოდ, დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ახალი შეთანხმების დადება იგეგმება.

მინისტრებმა „საქართველოს მთავრობასა და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დასადებად აუცილებელი პროცედურების განხორციელების თაობაზე“ ერთობლივ განცხადებას მოაწერეს ხელი.

ბელორუს კოლეგასთან შეხვედრამდე, ირაკლი ღარიბაშვილი საგანგებო სიტუაციების მინისტრს, ვლადიმერ ვაშჩენკოს შეხვდა. მხარეებმა ყოველწლიური თანამშრომლობის გეგმაზე ისაუბრეს და ორ ქვეყანას შორის ექსპერტების დონეზე თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი მოინახულა, ასევე ბელორუსის შს სამინისტროს დაღუპული თანამშრომლების მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო.

***„ვერსიანიუსი“***



## სამართალდამცავებმა „ქურდულ სამყაროსთან“ დაახლოებული შვიდი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, დააკავეს წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი პირები: 1990 წელს დაბადებული ლაშა ზ, 1983 წელს დაბადებული ირაკლი კ, 1985 წელს დაბადებული მირიან ჩ. და 1979 წელს დაბადებული ჯაბა ხ. ასევე დაკავებულია: 1990 წელს დაბადებული ნიკოლოზ გ, 1985 წელს დაბადებული ამირან დ. და 1990 წელს დაბადებული ზვიად ე.

სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია თბილისსა და ქუთაისში ერთდროულად ჩაატარეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები აღიარებენ ე.წ. ქურდულ სამყაროს და მისი აქტიური წევრები არიან. საგამოძიებო მოქმედებების დროს ასევე დადგინდა, რომ დაკავებულები, ე.წ. ქურდული გარჩევის გზით, მოქალაქეებს სისტემატურად სძალავდნენ სხვადასხვა ოდენობის თანხებს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

***„ვერსიანიუსი“***

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | | | 1 | |
| | 9 | | | | 8 | 6 | | |
| 3 | | | | | 6 | | 4 | 8 |
| | 1 | 9 | | | 7 | | | |
| 2 | | | | 9 | | | | 5 |
| | | | 3 | | | 9 | 6 | |
| 5 | 4 | | 7 | | | | | 1 |
| | | 3 | 1 | | | | 2 | |
| | 7 | | | | | 8 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 3 | | |
| 8 | | | 9 | | 6 | | | 1 |
| | 1 | | 8 | | | 4 | | |
| | | | | 9 | | 2 | | 6 |
| | | 5 | 1 | | 7 | 9 | | |
| 9 | | 7 | | 6 | | | | |
| | | 1 | | | 4 | | 3 | |
| 5 | | | 2 | | 8 | | | 4 |
| | | 6 | | | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | | 1 | 5 | |
| | | 7 | | | 5 | 4 | 6 | |
| | 5 | 4 | | | | | | 7 |
| | | | 9 | 3 | | | | |
| | | 1 | 8 | 5 | 4 | 9 | | |
| | | | | 1 | 2 | | | |
| 9 | | | | | | 2 | 8 | |
| | 6 | 3 | 2 | | | 7 | | |
| | 4 | 2 | | | | | 1 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | 9 | | 2 | | |
| | 1 | | | | | 3 | 9 | 5 |
| | | 3 | | 2 | 1 | | | |
| | | | | | | 8 | | 4 |
| | 4 | 9 | | | | 1 | 7 | |
| 3 | | 7 | | | | | | |
| | | | 9 | 6 | | 4 | | |
| 5 | 2 | 8 | | | | | 3 | |
| | | 6 | | 3 | | | 8 | |




ლონდონის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში სტუმრებს სთავაზობენ კერძებს, რომელიც ადამიანის ცრემლისგან მიღებული მარილითაა შეკმაზული და როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, მათი პროდუქტი „ადამიანის ცრემლის დაშრობით მიიღება“. ამასთან, ცენტრში მისულ კლიენტებს შეუძლიათ, მარილი საკუთარი გემოვნებით აირჩიონ, რომელიც სხვადასხვა ასორტიმენტითაა წარმოდგენილი და მიღებულია, მაგალითად: სიბრაზის, სიბრალულის ან სიცილის ცრემლით. ისე, უცნობია, მარილს მართლაც ასეთი გზით იღებენ თუ ეს, უბრალოდ, სარეკლამო ტრუკია, თუმცა აქაური კერძების ფასი მართლაც მოგგვრით ცრემლს, რადგან მსურველს ერთი ულუფა 37,5 ევრო უჯდება.

## ქალწულების სისხლს იბარებენ



ჩინეთში დიდი კამათი გამოიწვია განცხადებამ, რომელიც ქალწულებს სისხლის ჩაბარებისკენ მოუწოდებს. პეკინის უნივერსიტეტის ონკოლოგიის კათედრამ, რომელსაც ეკუთვნის ეს განცხადება, განმარტა, რომ სისხლის ნიმუშები სჭირდებათ ადამიანის პაპილომა-ვირუსის კვლევებისთვის, ამ ვირუსით დაავადების რისკი კი ძალიან მცირეა იმ ქალებში, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ სექსუალური კავშირი. თუმცა, ჩინელების უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს მოწვევა შეურაცხმყოფელია ქალებისთვის, რადგან განცხადებაში არაფერია ნათქვამი მამაკაცებზე, რომელთაც ასევე არ ჰქონიათ სექსუალური კავშირი.

## ღორები აგარაკზე დაასახლეს

ჩინეთის ერთ-ერთ სოფელში, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ღორებისთვის საცხოვრებელი კომპლექსი ააგეს, რომელიც 600 პატარა სახლისგან შედგება. დასახლებაში ცხოველებს ანებივრებენ. ჩინური მედიის ცნობით, აქაური მოსახლეობა ღორებზე განსაკუთრებით ზრუნავს, ამ პირობებში გაზრდილი ცხოველები ჯანმრთელები არიან, მათი ხორცი კი გაცილებით გემრიელი და ხარისხიანია. ღორებისთვის განკუთვნილი თითოეული „აგარაკი“ ავეჯითა და გოჭებისთვის გასართობი სათამაშოებითაა მოწყობილი. გარდა ამისა, თანამედროვე საღორეში ვიდეოკამერაცაა დამონტაჟებული, პატრონმა საკუთარი ცხოველების ონლაინრეჟიმში ყურება რომ შეძლოს. ყველა საღორის ექსტერიერი შესაბამისადაა მოხატული. ყოველ დილა განცხრომაში მყოფი ღორები საკუთარ აგარაკს ტოვებენ და ტყეში დასეირნობენ, საღამოს კი სახლს უბრუნდებიან.




შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 3 | 7 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 5 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 | 4 | 9 | 5 |
| 9 | 4 | 6 | 5 | 2 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 8 | 3 | 5 | 4 | 9 | 1 | 7 | 6 | 2 |
| 7 | 9 | 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 2 | 4 |
| 5 | 8 | 2 | 9 | 3 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 4 | 6 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 | 3 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 9 | 4 | 3 | 5 | 2 | 7 | 6 | 1 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 4 | 5 | 8 | 3 | 6 | 2 |
| 6 | 3 | 5 | 9 | 1 | 2 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 2 | 8 | 7 | 3 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 3 | 1 | 7 | 2 | 4 | 9 | 5 | 8 | 6 |
| 8 | 9 | 4 | 6 | 7 | 5 | 2 | 3 | 1 |
| 5 | 6 | 2 | 3 | 8 | 1 | 9 | 4 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 2 | 7 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 8 | 5 | 7 | 3 | 6 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 1 | 4 | 5 | 8 | 7 | 3 | 9 | 2 | 6 |
| 7 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 8 | 1 |
| 2 | 8 | 6 | 1 | 4 | 9 | 3 | 5 | 7 |
| 5 | 7 | 8 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 2 |
| 6 | 2 | 4 | 5 | 9 | 7 | 1 | 3 | 8 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 | 5 | 7 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 4 | 2 | 6 | 1 | 3 | 7 | 8 |
| 6 | 1 | 7 | 8 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 2 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 | 5 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 5 | 4 | 9 | 2 | 7 | 8 | 3 |
| 8 | 7 | 2 | 3 | 1 | 5 | 4 | 9 | 6 |
| 4 | 3 | 9 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 5 |

მე-13 გვერდი: 1. ლორთქიფანიძე; 2. შიოლა; 3. ფეროუ; 4. კოტრიკაძე; 5. ინტერლინგვა; 6. აბსტინენცია; 7. ირავადი; 8. კლიშე; 9. ჩხიკვი; 10. ტასმანი; 11. გაცი; 12. ნიველირი; 13. კალჩო; 14. რეიგანი; 15. ნადი; 16. იკიკე; 17. სტატიკა; 18. უხა; 19. ნადი; 20. კატოვიცე; 21. აპისი; 22. ოპუნცია; 23. სარიდანი; 24. სეპტეტი; 25. ამინდი; 26. ციგა; 27. კოლბა; 28. ბულდოგი; 29. ემუ; 30. ია; 31. პიპია; 32. სისტოლა; 33. იბრაჰიმოვიჩი; 34. აბაი; 35. ძვალი; 36. ბონდი; 37. ბუმერი; 38. „ნათელა“; 39. პარკური; 40. კლდე; 41. დოლი; 42. სინაი; 43. დღე; 44. ეგიდა; 45. „რომენი“; 46. ერითრეა; 47. ფიბა; 48. ესკიმოსი; 49. იბერია; 50. ჰერეთი; 51. არადანი; 52. ნეი; 53. ლაპი; 54. უჯარმა; 55. აპერიტივი; 56. სია; 57. ბუკლე; 58. ტივი; 59. თარა; 60. მორუა; 61. სიმი; 62. ლეჩაქი; 63. „კოპელია“; 64. „ჯენოა“; 65. კაროლი; 66. რანჩო; 67. ეშმი; 68. პიროპი; 69. მოსადი; 70. აკრი; 71. ვო; 72. პა; 73. ურო; 74. ქამანჩა; 75. სამოა; 76. უზი; 77. ნამუსი; 78. ავი; 79. ასია; 80. მუსიკა; 81. აია.

1. შორენას გვარი „დიდოსტატის მარჯვენაში“
2. ცხენების ინფექციური დაავადება
3. ფრანგი პოეტი
4. სოფელი მარტვილის რაიონში
5. ფილმ „გლადი-ატორის“ მთავარი გმირი



6. გერმანული მოკლებეწვიანი ძაღლის ჯიში
7. მატარებლის შემადგენლობის წამყვანი მანქანა
8. სოფელი მცხეთის რაიონში
9. ძველი ქართული ცხენოსნური თამაში
10. ჰომეროსის პოემა
11. კინოფილმის საჩვენებელი ზედაპირი
12. მოაჯირის ფიგურული სვეტი
13. ცნობილი ქართველი წყალბურთელი
14. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
15. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა პალესტინაში
16. ტბა ფინეთში
17. ქალაქი საფრანგეთში
18. ტყის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში
19. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი
20. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე
21. სიმინდის ყვავილედი
22. ინდონეზიის კუნძული
23. კვარცის ნაირ-სახეობა, ნახევრად ძვირფასი ქვა
24. ქალაქ ბომბეის თანამედროვე სახელწოდება
25. ფრედი მერკურის ნამდვილი გვარი
26. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
27. ფრანგული თოჯინების თეატრის მთავარი პერსონაჟი
28. სასულთნო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში
29. ხალხური მუსიკალური საკრავი
30. არაადეკვატური მხიარული განწყობილება
31. სამგზის ოსკაროსანი ამერიკელი კინორეჟისორი
32. იტალიური ღვეზელი
33. გიორგი მახარაშვილის ვაჟის სახელი
34. კორეული ავტომარკა
35. ალ. მაკედონელის დედის სახელი
36. ცხენზე გადასაფარებელი ქსოვილი
37. მძიმე შრომა
38. კერძო ვაჭრობის უფლების დამადასტურ. მოწმობა
39. იგივეა, რაც პომიდორი
40. უცხოელი, უცხოტომელი ებრაულ ენაში
41. დაბალი მაგიდა
42. რუსი მამაკაცების სახელი
43. ნარკოტიკით მიღებული სიამოვნება ჟარგონზე
44. ცხოველთა მეფე
45. აზნიდის არაყი
46. მწერალი ... ჭილაძე
47. იაპონ. ელექტროტექნიკის ფირმა
48. ქალაქი გერმანიაში
49. რუსი საბჭოთა ნობელიანტი ფიზიკოსი
50. საუბარი ორ პირს შორის
51. ღმერთების ადგილსამყოფელი სკანდ. მით.
52. ალადინის მეგობარი მაიმუნი (მულტფილ.)
53. კრიმინალური შინაარსის რუსული სერიალი
54. 1812 წ. ისტორიული ბრძოლის ადგილი მოსკოვთან
55. ბიბლიური პატრიარქი
56. ... ქმრის ძმა
57. წიწვოვან მცენარეთა ყვავილედი
58. კავშირი ქართულ ენაში
59. ჰიმნების მუზა ბერძნულ მითოლოგიაში
60. „სუნთქვა“ - ლათინურად
61. „ჩ“ ასოს სახელი ქართულ ანბანში
62. ავსტრიის სიდიდით მეორე ქალაქი
63. პავლეს ტრანსპორტი „ვერის უბნის მელოდიებში“
64. წარსულში ცნობილი ინგლისელი შავკანიანი ფეხბურთელი
65. ცხენის კუდის ბეწვი
66. მიანმარის უდიდესი მდინარე
67. მუსიკალური გამის I ნოტი
68. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
69. დი დი თეფში
70. დიდი მუწუკი
71. სხვადასხვა ნაწილაკის მექანიკური შენაერთი
72. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
73. ქალაქი ყაზახეთში
74. სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადა (ინგლ.)
75. ორი ელექტროდის მქონე ელექტრონმილაკი
76. ველური კომში
77. პირის ღრუს ზედა თაღისებური ნაწილი
78. მათემატიკური ორწევრი
79. სოკოს ქსელი საკვებ პროდუქტზე



# ჩაის დალევისთვის დააპატიმრეს

ინდოეთის ქალაქ კოლხაპურის სამართალდამცავებმა მამაკაცი მხოლოდ იმის გამო დააკავეს, რომ მათი აზრით, ის საეჭვოდ სვამდა ჩაის ქალაქის ერთ-ერთ კაფეში. თუმცა, ამ გადაჭარბებული ყურადღებისთვის პოლიციელებმა პასუხიც აგეს. ვიჯაი პატილი თავისთვის მშვიდად იჯდა კაფეში და ჩაის შეექცეოდა, როცა მოულოდნელად პოლიციელები მიცვივდნენ და იგი, სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი სტატიის საფუძველზე დააკავეს. სამართალდამცავების განცხადებით, მამაკაცი საეჭვოდ იქცეოდა... მაგრამ ბომბეის სასამართლომ სამართალდამცავთა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ პოლიციელების საქციელი გამაოგნებელია. არ ვიცოდით, რომ ჩვენი კანონი ითხოვდა მოქალაქეებისგან განმარტებას, როცა ჩაის სვამენ, — ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.



# ჰოროსკოპი
## 30 სექტემბერი

***ვერძი*** — დღე ისეთ ადამიანებთან გაატარეთ, ვისაც უყვარხართ და თქვენს გვერდით ყოფნა უნდა. მათ ნამდვილად ესაჭიროება თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა.

***კურო*** — შეიძლება იფიქროთ, რომ ცხოვრება უღიმღამო და მოსაწყენია, მაგრამ ყველაფერი დროებითია. ვითარება მალე საპირისპიროდ შეიცვლება — გამოჩნდება ადამიანი, რომელიც რადიკალურად შეცვლის თქვენს შეხედულებებს ცხოვრებაზე.

***ტყუპები*** — კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებისთვის, მხოლოდ საბოლოო ხელშეკრულების გაფორმებას ნუ იჩქარებთ. პირად ურთიერთობებში ცვლილებების დრო დგება.

***კირჩხიბი*** — ისწავლეთ ადამიანების ნდობა და მეგობრების დაფასება, თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენს გარემოცვაში ყველა არ არის ნდობის ღირსი. შეარჩიეთ მეგობრები, რათა მომავალში არ ინანოთ.

***ლომი*** — მხოლოდ ზარმაცი თუ იტყვის, რომ ცუდი დღეა და არსად უნდა წასვლა. კარგია სპორტის ნებისმიერი სახეობით დაკავება, თუ რა თქმა უნდა, ამინდიც ხელს შეგიწყობთ.

***ქალწული*** — ხელსაყრელი დღეა საქმიანი გეგმების განსახორციელებლად, დარჩენილი დრო კი, შეგიძლიათ, გართობას დაუთმოთ.

***სასწორი*** — დროა, გაიხსენოთ, რომ არსებობს საკითხები, რაც თქვენს ყურადღებას საჭიროებს. ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემები გვერდზე გადადეთ და საკუთარ თავზე იზრუნეთ.

***ღრიანკალი*** — კარგი დღეა ნებისმიერი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. სითამამე გამოიჩინეთ და ყველაფერი გამოგივათ. თუ საჭირო იქნება, მეგობრების დახმარების იმედი შეგიძლიათ გქონდეთ.

***მშვილდოსანი*** — გირჩევთ, დაისვენოთ და მაქსიმალურად მოდუნდეთ, თუნდაც ფიქრობდეთ, რომ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი. უმჯობესია, დაისვენოთ, მერე კი ახალი ძალით შეუდექით მუშაობას.

***თხის რქა*** — სასწრაფოდ უნდა შეცვალოთ რამე თქვენს ცხოვრებაში, თორემ მოწყენილობა დაგეუფლებათ, ეს კი კარგი ნამდვილად არ არის. არ დაგავიწყდეთ, რომ ცვლილებების დროს აუცილებელია გონიერების გამოჩენა.

***მერწყული*** — ისეთ სიურპრიზებს ელოდეთ, რომელზე ოცნებას ადრე ვერც კი ბედავდით. ყველაზე თამამ ნაბიჯებსაც არ მოერიდოთ, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი აუცილებლად გამოგივათ.

***თევზები*** — დროა, ის პრობლემები გადაწყვიტოთ, რომელიც კარგა ხანია მოსაგვარებელია. ტყუილად ნუ ცდილობთ დროის გაყვანას, თქვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს.





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია. რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ


# შაქარი ნარკოტიკს გაუთანაბრეს




ჰოლანდიელი სპეციალისტი პოლ ვან დერ ველპენი მთავრობას სთავაზობს, მკაცრად გააკონტროლოს შაქრის მოხმარება და მისი გაყიდვები, რადგან შაქარს „ყველა დროის ყველაზე საშიშ ნარკოტიკს“ უწოდებს. მოკლედ, რაკილა ჰოლანდიაში, სადაც მარიხუანას გაყიდვა ლეგალიზებულია, შაქრის საფრთხეზე ალაპარაკდნენ, ჩანს, საქმე სერიოზულადაა. ველპენი გვთავაზობს რჩევებს, როგორ დავაღწიოთ თავი „შაქარზე დამოკიდებულებას“ და დასძენს, რომ ურიგო არ იქნება, შაქრის შეფუთვაზე დაატანონ გაფრთხილება — „შაქარი კლავს“. საქმე ისაა, რომ ოფიციალური სტატისტიკით, უფროსი ასაკის ჰოლანდიელების ნახევარი ჭარბწონიანია, თუმცა შაქრის მავნებლობაზე ოკეანისგაღმაც საუბრობენ — ექსპერტის თქმით, შაქარი ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.



# ჰოროსკოპი
## 1 ოქტომბერი

***ვერძი*** — სწორედ დღეს, როგორც არასდროს, სასარგებლო იქნება ხელოვნების სამყაროსთან შეხება — თეატრში ან კინოში წასვლა... ეფექტი კი გაცილებით ძლიერი იქნება, თუ ამ ღონისძიებაზე ახლობელთან ერთად წახვალთ.

***კურო*** — თქვენი სიტყვები საკმაოდ ეფექტური იქნება, ოღონდ შეეცადეთ, დრო ტყუილად არ დახარჯოთ, მხოლოდ სასწრაფო საქმეები მოაგვარეთ.

***ტყუპები*** — სამსახური დროებით დაივიწყეთ — ძველ მეგობრებთან შეხვედრა და ურთიერთობა ძალიან სასარგებლო იქნება ენერგეტიკისა და ფსიქიკისთვის.

***კირჩხიბი*** — დღეს მიიღებთ რეკომენდაციას ან პროტექციას მნიშვნელოვანი პერსონისგან, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები ადამიანისგან. თუ შეძლებთ, სწორად განკარგოთ ბედის ეს საჩუქარი, მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლად გაიუმჯობესებთ.

***ლომი*** — ყველა თქვენი სარეკლამო აქცია წარმატებული აღმოჩნდება. თქვენი მომხიბვლელობა კი გარშემომყოფებში დადებით აურას გიქმნით. ასე რომ, დღეს გარესამყაროს ნამდვილად ვერ გაემიჯნებით.

***ქალწული*** — ნებისმიერი რომანტიკული ურთიერთობა სასარგებლო იქნება. ცოტა ხნით გვერდზე გადადეთ არსებული პრობლემები და დრო საკუთარ თავს დაუთმეთ.

***სასწორი*** — ახლობელი ადამიანი ან თაყვანისმცემელი გაგახარებთ, იგრძნობთ თქვენს მიმართ ინტერესსა და ზრუნვას, რაც ნამდვილად დასაფასებელია. შესაძლოა, ამის შემდეგ თქვენმა ურთიერთობამ უფრო რომანტიკული სახე მიიღოს.

***ღრიანკალი*** — დროსთან დაკავშირებით დღეს განსაკუთრებით ყურადღებიანი იყავით. შესაძლოა, მნიშვნელოვან შეხვედრაზე დააგვიანოთ. შეეცადეთ, სწორად გათვალოთ ყოველი ნაბიჯი — ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

***მშვილდოსანი*** — დღეს, ალბათ, ახლობლები მათთვის მიცემულ დაპირებას შეგახსენებენ. მოგიწევთ, ოჯახში თქვენი მოვალეობა შეასრულოთ.

***თხის რქა*** — შესაძლოა, სერიოზულ საუბარში ან მწვავე დისკუსიაში ჩაერთოთ გავლენიან ადამიანთან. შეეცადეთ, ბოლომდე დაიცვათ საკუთარი აზრი, მაგრამ კონფლიქტს ნუ დაუშვებთ.

***მერწყული*** — თავს მეტი დრო დაუთმეთ, არსებული უსიამოვნება კი დროებით დაივიწყეთ. გახსოვდეთ, ეს ყველაფერი დროებითია — ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესდება და პარტნიორთან ურთიერთობაც დალაგდება.

***თევზები*** — შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ თქვენზე არაფერია დამოკიდებული. მოგინდებათ, ყველას დაემალოთ და საკუთარ თავში ჩაიკეტოთ, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწევთ.


Appraisal.llc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 5 | | | | | |
| | 2 | 8 | | | | 5 | | 4 |
| | 7 | | 6 | | | | | 1 |
| | 3 | 1 | | 9 | | 8 | | |
| | | | | 6 | | | | |
| | | 7 | | 8 | | 4 | 1 | |
| 2 | | | | | 7 | | 4 | |
| 8 | | 3 | | | | 9 | 7 | |
| | | | | | 4 | 6 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 9 | 3 | | | | | |
| | 3 | | 2 | | | | | |
| 2 | | 5 | | 6 | | | | |
| 1 | | | | 4 | | | 9 | |
| | 2 | 3 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | |
| | 6 | | | 3 | | | | 5 |
| | | | | 7 | | 5 | | 1 |
| | | | | | 6 | | 8 | |
| | | | | | 9 | 7 | | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | 4 | | 6 | | 2 |
| | | | | | 1 | 9 | | |
| 4 | | | 6 | | 8 | 7 | | |
| | 7 | | 1 | | | | | |
| | 5 | | | | | | 7 | |
| | | | | | 3 | | 9 | |
| | | 7 | 5 | | 4 | | | 3 |
| | | 6 | 9 | | | | | |
| 3 | | 4 | | 6 | | 5 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | | | 6 | | | | 3 |
| 7 | | 6 | 5 | | 3 | | | |
| | 3 | 2 | 9 | | | | 7 | |
| | | | | | | | 2 | |
| 4 | | 5 | | | | 7 | | 1 |
| | 1 | | | | | | | |
| | 6 | | | | 9 | 4 | 3 | |
| | | | 2 | | 6 | 9 | | 7 |
| 9 | | | | 4 | | | 1 | 2 |



## შავი ქათამი — აზიური დელიკატესი

იცით თუ არა, რომ ამქვეყნად არსებობს შავი ქათამიც? საუბარი არ არის შავ ბუმბულზე — ამ ქათამს კანი, ძვლები და შინაგანი ორგანოებიც კი შავი აქვს და ეს ჯიში, ძირითადად, აზიაშია გავრცელებული, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული ჩინური Silkie-ა. ეს ქათმის საკმაოდ ლამაზი ჯიშია, უხვბუმბულიანი, რომელიც რბილ აბრეშუმს მოგაგონებთ. თუმცა, ლამაზი ბუმბულის ქვეშ უკვე ნაკლებად მიმზიდველი „სხეულია" — ქათამს მოლურჯო ფერის კანი აქვს, ძვლები და ზოგიერთი ორგანო კი — კუპრივით შავი. დასავლეთში ამ ჯიშის ფრინველით უფრო დეკორატიული მიზნებით ინტერესდებიან, ჩინეთში კი მას სუპერ-დელიკატესად მიიჩნევენ. ჩინელებს, განსაკუთრებით, ხორცის სპეციფიკური, მკვეთრი არომატი მოსწონთ. შავი ქათამი პოპულარულია მელოგინე ქალებში, მშობიარობის შემდეგ მალე რომ აღიდგინონ ძალები. გარდა ამისა, ხორცი აჯანსაღებს სისხლს, ფილტვებსა და კუჭს. ამ ქათამს იშვიათად მიირთმევენ შემწვარს, ხორცმა სამკურნალო თვისებები რომ არ დაკარგოს და მისგან ბულიონს ამზადებენ. ორი წლის წინ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ Silkie-ს ქათმის შავი ფერი გენეტიკური მუტაციითაა გამოწვეული. გარდა ამისა, ხორცი შეიცავს კარნოზინის პეპტიდს ანუ ახალგაზრდობის საიდუმლოს, ასე რომ, Silkie-ს ჩინელები მიირთმევენ, რათა დაბერების პროცესი შეაფერხონ ან ისეთი დაავადებები შეამსუბუქონ, როგორიც დიაბეტი ან აუტიზმია.



# ყველაზე მოხდენილი ქალები გამოავლინეს



პოპულარულმა ჟურნალმა People მსოფლიოში ყველაზე მოხდენილი ქალების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. წელს სათავეში სიას ამერიკელი მსახიობი კერი ვაშინგტონი ჩაუდგა. გამოცემის რეიტინგში მოხვდა ასევე მშვენიერი სქესის კიდევ ცხრა წარმომადგენელი. ჯენიფერ ლოურენსი, რომელმაც წელს „ოსკარი" დაიმსახურა, მაღალი მოდის კანონმდებლად დაასახელეს. სიის ავტორთა მოსაზრებით, წითელ ხალიჩაზე ბადალი არ ჰყავს ჯესიკა ჩესტეინს, ჯინსის შერჩევა კი ყველაზე უკეთ „ავატარის" ვარსკვლავს, ზოი სალდანას ეხერხება. საუკეთესო კლასიკური სტილის მფლობელად ემა სტოუნი დასახელდა, კოსტიუმების შერჩევაში ყველაზე რისკიანად კი მომღერალი და მსახიობი სოლანჟ ნოულზი, ბიონსეს და აღიარეს. გარდა ამისა, გამოცემამ ასევე აღნიშნა ქეით ბოსუორტის, ჯენა დევან-ტატუმის, ლილი კოლინზისა და ნიკოლ რიჩის დახვეწილი გემოვნებაც. შარშან მსოფლიოს ყველაზე მოხდენილ ქალად გვინეტ პელტროუ დაასახელეს.



# ხვრინვა მხედველობას აზიანებს?

ტაივანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ხვრინვა ნეგატიურად აისახება ადამიანის მხედველობაზე, — სპეციალისტების ეს დასკვნები 1000 პაციენტსა და 6 ათას ჯანმრთელ მოხალისეზე ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ვინც ძილში ხვრინავს, 1,67-ჯერ მეტად უვითარდება თვალის ისეთი დაავადება, როგორიცაა გლაუკომა, ხვრინვას ასევე შეუძლია ინსულტისა და გულის დაავადებების პროვოცირება... დეტროიტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ვიბრაცია, რაც ხვრინვის დროს წარმოიქმნება, ტრავმას აყენებს სისხლძარღვებს, მათ ანთებას და გათხელებას იწვევს, რაც ათეროსკლეროზის განვითარების პირველი სტადიაა. სწავლულები აცხადებენ, რომ ხვრინვა ისეთივე საშიშია ადამიანისთვის, როგორც მაღალი არტერიული წნევა.



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).







